

K 113889
3

କବିତା



କବିତା
ଜାନିବା
ପରିଚୟ


ლეიტენა გენერალი

შესახური

ვარაუდი


გვარაუდი

K 413.889
 3



(6)

საქართველოს სსრ
 საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის
 სახელმწიფო გამომცემლობა
 „ნაკადული“
 19 თბილისი 64



შ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა მ ბ ა

ალკოჰოლიზმი ანუ ლოთობა, როგორც სოციალური სენი, ჩვენს სინამდვილეში უკვე დიდი ხანია მოისპო. მიუხედავად ამისა, ლოთობის ცალკეული შემთხვევები ჯერ კიდევ გვხვდება.

მეღიცინის მეცნიერებათა ღოქტორი, პროფესორი ალექსი მინდაძე წინამდებარე ნაშრომში საფუძვლიანად მიმოიხილავს ლოთობის მიზეზებს, ალკოჰოლის ზემოქმედების შედეგად განვითარებულ ავაღმყოფურ მოვლენებს, ლოთობის მკურნალობას და პროფილაქტიკას.

ალკოჰოლიზმის პათოლოგიის და კლინიკის არა ერთი რთული საკითხია გაშუქებული აკადემიკოსი ი. პავლოვის მოძღვრების თვალთახედვით.

ავტორი არა მარტო მოგვითხრობს ლოთობის სენის უარყოფით მხარეებზე, არამედ აგრეთვე გვისახავს მასთან ბრძოლის გზებს.

შრომაში მოტანილია საინტერესო მასალები ლოთობით გამოწვეულ შინაგან სწეულებათა, ნერვულ სწეულებათა და სულით დაავადებათა ძირითად ნიშნება და მკურნალობაზე. მოცემულია მასალა, რომელიც ეხება ყურძნის და მისი პროდუქტების რაციონალურ გამოყენებას; აქ მკითხველი გაეცნობა შევენახეობის ღაღებით და მეტად სასარგებლო მრავალფეროვან მხარეს.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ მწერლების შემდეგ და მას შემდეგ მარტინ გამომდებარებული ქართველ ფსიქონევროლოგთა, პირველ რიგში, ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის ინსტიტუტის კოლექტივის შემოქმედებითი კვლევის შედეგები. ამ მხრივ უთუოდ საინტერესოა ჩვენი მკვლევარების დაკვირვებანი ორგანიზმზე ქართული ღვინის ზეგავლენის შესახებ.

პაპადემიკონი ა. ზურაბაშვილი

ალკოჰოლიზმი მავნე ჩვეულებაა

ალკოჰოლიზმს, როგორც სოციალურ სენს, ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია ნიაღაგი გამოეცალა, მაგრამ ადამიანისათვის ამ საზიანო ჩვეულების ცალკეულ გამოვლინებას ჯერ კიდევ ვხვდებით.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ამ მძიმე სენის წინააღმდეგ თანმიმდევრულად ახორციელებენ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 15 დეკემბრის დადგენილებაში აღნიშნულია ლოთობის დიდი საზოგადოებრივი მავნებლობა და დასახულია ამოცანები, რომლებიც დგას პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ფართო საზოგადოებრიობის წინაშე ლოთობასთან ბრძოლის გაძლიერების საჭეში. ამ დადგენილების განხორციელება უზრუნველყოფს ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისა და მკურნალობის სასურველ დონეზე დაყენებას.

საბჭოთა საზოგადოებაში ალკოჰოლიზმი განიხილება, როგორც კაპიტალიზმის გადმონაშთი. ცნობილია, რომ სპირტიანი სასმელების დიდი რაოდენობით გამოშვება და ალკოჰოლიზმის გავრცელება ფეხდაფეხ მიჰყვება კაპიტალიზმის განვითარებას. ფრიდრიხ ენგელს 1845 წელს დაწერილ შრომაში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ შესანიშნავად აქვს დახასიათებული შრომისა და ყოფაცხოვრების ის აუტანელი პირობები, რომელშიც იმყოფებოდა პროლეტარიატი და რაც ალკოჰოლიზმის გავრცელების ხელსაყრელ ნიაღაგ წარმოადგენდა.



ფრიდრიხ ენგელსი წერს: „არის აგრეთვე სხვა მუშაობებისა, რომლებიც მუშათა დიდ რიცხვს ასუსტებენ. უპირველესად — ლოთობა. ყოველგვარი ცოუნებაა გაერთიანებული იმისათვის, რომ მუშა გალოთდეს. არაუკი მისთვის თითქმის ერთადერთ სიამოვნების წყაროს შეადგენს, და ყველაფერი აქვთ მას ამისათვის“.¹

კაპიტალიზმის პირობებში მუშების მიღრეკილებას არაყისადმი ფრიდრიხ ენგელსი ბუნებრივ მოვლენად მიიჩნევს და განაგრძობს: „ლოთობა აქ აღარაა მანკი, რომლისთვისაც შეიძლებოდა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა ამ მანკის მატარებელს; იგი ხდება აუცილებელი მოვლენა, გარდაუვალი შედეგი განსაზღვრული პირობების ზეგავლენისა უნებისყოფო, — ყოველ შემთხვევაში ამ პირობებში უნებრიყოფო ობიექტზე. პასუხისმგებლობა ამისათვის იმათ ეკისრებათ, ვინც მუშა ასეთ ობიექტად გადააჭცია. მაგრამ თუ მუშათა უმრავლესობისათვის ლოთობა აუცილებელია, ასევე აუცილებელია ის გამანადგურებელი გავლენა, რასაც ლოთობა ახდენს თავისი მსხვერპლის სულსა და სხეულში. იგი აძლიერებს დაავადებისადმი მიღრეკილებას, რაც მუშის საარსებო პირობებიდან წარმოიშობა, ხელს უწყობს ფილტვების და კუჭის დაავადებას და აგრეთვე ტიფის უაღრესად განვითარებას და გავრცელებას.“²

ლოთობა ფიზიკურად და მორალურად ასახიჩრებს ადამიანს, ხელს უწყობს ექსპლოატატორებს ბურუსში იყოლიოს და თავისუფლად გაყვლიფოს მშრომელი ხალხი. კლასობრივი ჩაგვრის პირობებში მუშათა შორის გავრცელებული ლოთობა აბრკოლებს რევოლუციური შეგნებულობის ამაღლებას. მაქსიმ გორკის ცნობილ რომანში „დედა“ ბრწყინვალე მხატვრულ სახეებშია გადმოცემული მეფის რუსეთის დროინდელი მუშათა კლასის დუხშირი ცხოვრება და ლოთობის. დამღუპველი გავლენა მუშების რევოლუციურ შეგნებულობაზე.

კაპიტალისტურ ქვეყნებში სპირტიანი სასმელების წარმოება მოგების, მშრომელთა გაყვლეფის ერთ-ერთი მნიშვნელობა მოგების, მშრომელთა გაყვლეფის ერთ-ერთი მნიშვნე-

¹ ფ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“, გვ. 104. ობილისი, 1935.

² იქვე, გვ. 105.



ლოვანი წყაროა. ბურუუაზიას არ ესაჭიროება ფხიზელი კონკრეტული ნების მუშა. სჯობს ის გაბრუებულ მდგომარეობაში იმყოფება ბოდეს ალკოჰოლითა და რელიგიით. უმუშევრობა, სიღარიბე, უფლებობობა, ყოველდღიური ზრუნვა ლუქმაპურისათვის. უიმედო აწყო და ხვალინდელი დღის შიში მატერიალურად შევიწროებულ, დაბალი კულტურის ადამიანს ალუძრავს სინამდვილიდან გაქცევის სურვილს, რომ იქნებ დროებით მაინც დაივიწყოს უნუგეშო მდგომარეობა. ასეთი განცდის ილუზიას დათრობა იწვევს.

რელიგია გონიერას უხშობს ადამიანს. მორწმუნეს სჯერა ის, რაც არ აჩსებობს. ასეთ ადამიანს თითქოს დასაშვებად მიაჩნია სამართლიანობისა და კანონიერების მოპოვების შესაძლებლობა „იმ ქვეყანაში“ და ეს ერთგვარად უადვილებს ბურუუაზიულ სინამდვილესთან იძულებით შეგუებას. ალკოჰოლისაგან გონიერადაბშული ადამიანი ადვილად განეწყობა რელიგიურად. თვით რელიგიური დღესასწაულები ღრეობის ხასიათს ღებულობს: ამგვარად, რელიგიური დღესასწაულები ხელს უწყობენ ლოთობის გავრცელებას, რელიგია და ალკოჰოლი ბურუუაზის ხელში მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის მასობრივი ჩაგვრის, მათი ბრძან დამონიების იარაღია.

ახლა, როცა მიმდინარეობს კომუნიზმისაკენ წინსვლის აქტიური პროცესი, მომავალი საზოგადოების ნიშნები სულ უფრო მკაფიოდ ვლინდება მთელ ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ ახლის გვერდით ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი, ჩვენთვის უცხო მოვლენები, რომლებიც არ შეესაბამება არც ჩვენი საზოგადოების ხასიათს, არც საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობის ცხოვრების წესს. ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშების დაძლევას, ჩვენს ცხოვრებაში ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოფხვრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ერთ-ერთ ყველაზე გამძლე და მავნე გადმონაშის წარმოადგენს ალკოჰოლიზმი, რომელიც ზნეობრივად და ფიზიურად ამანინჯებს ადამიანს, აქვეითებს მის ლირსებას.

ალკოჰოლიზმის ანუ ლოთობის წინააღმდეგ ფართო საზოგადოებრივი აზრის შესაქმნელად უკანასკნელ დროს მრავალი საინტერესო წერილი გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში, დაი-

შეჭრა. არა ერთი ბროშურა და მასობრივად ტარდება ლექციები-
საუბრები.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ალკოჰოლიზმი მავნე-
ბელია ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ცუდად მოქმედებს
შთამომავლობაზე, ხელს უწყობს ბოროტმოქმედებებს, ავა-
რიებს, უბედურ შემთხვევებს, შრომის ნაყოფიერების დაცე-
მას, გაღარიბებას და სხვ. უნდა ვიცოდეთ ალკოჰოლიზმის
გავრცელების ხელშემწყობი პირობები, ალკოჰოლის მოქმე-
დების მექანიზმი, ადამიანის ქცევის შეცვლა და საერთოდ
ილკოჰოლიზმის გავლენა პათოლოგიური პროცესების ჩამო-
ყალიბებაში. ჩამოთვლილი საკითხების გაშუქება, ალკოჰო-
ლიზმზე ცოდნის გაღრმავება შესაძლებელს გახდის მის წინაა-
ღმდეგ რაციონალური ღონისძიებების გამომუშავებას.

ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ძირითადი ავად- მყოფური ცვლილებები და შინაგან ორგანოთა დაავადებანი

ალკოჰოლით ქრონიკული მოწამვლისაგან განვითარებული
მორფოლოგიური ხასიათის ცვლილებების ზუსტი დადგენა
საკმაოდ ძნელია, რადგან უშუალოდ ალკოჰოლიზმისაგან სი-
კვდილი შედარებით იშვიათია; უმრავლეს შემთხვევაში ავად-
მყოფები იღუპებიან რაიმე ინფექციის, სხვა სახის დაავადების
ან მწვავე მოწამვლის გამო. ყოველივე ეს თავის კვალს ტო-
ვებს ქსოვილებსა და ორგანოებში და ამიტომ მაკროსკოპუ-
ლი და მიკროსკოპული ცვლილებების გარკვეულად მიწერა
ალკოჰოლური მოწამვლისადმი შესაძლებელია მხოლოდ ნა-
წილობრივ. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს იმას, ლოთობით
ქრონიკულად დაავადებული ცოტას ჭამს თუ მეტს, ვიდრე
ეს ნორმალურ სასიცოცხლო პროცესებისათვის არის საჭირო.
გადაჭარბებული კვება თავის დამახასიათებელ მოვლენებს
იწვევს მთელ ორგანიზმში და ჩრდილავს ალკოჰოლით გამო-
წვეულ ცვლილებებს.

ორგანოთა ფუნქციური და მორფოლოგიური ხასიათის
მოშლილობებს შორის სრული შესაბამისობა ხშირი არ არის.



ზოგჯერ, მნიშვნელოვანი ფუნქციური მოშლილობების დროს უძლიერი შედარებით მცირე მორფოლოგიური ცვლილებებია და ზოგჯერ კი, მცირე ფუნქციური მოშლილობების დროს მკვეთრ მორფოლოგიურ ცვლილებებს ვნახულობთ. ეს აიხსნება, ორგანიზმის აღმადგენელი უნარით — შეავსოს ავადმყოფობისაგან გამოწვეული ნაკლი.

ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეულ პათოლოგიურ ცვლილებებზე სრული წარმოდგენა გვექნება მაშინ, თუ ადამიანის სიცოცხლის დროს არსებულ ორგანოთა ფუნქციურ აშლილობას დავუმატებთ სიკვდილის შემდეგ ნახულ მაკროსკოპულ და მიკროსკოპულ ცვლილებებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სადღეისოდ დადგენილია ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ძირითადი მორფოლოგიური ცვლილებების ხასიათი.

ი. დავიდოვსკის მიხედვით, ალკოჰოლიზმის დროს პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებების შესწავლას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ სპეციფიკური დამახასიათებელი პროცესები ლოთობით დაავადებულ ორგანიზმში არ არის; ალკოჰოლიზმის ხანგრძლიობისა და ორგანოთა ცვლილებების ხარისხს შორის პარალელიზმი არ არსებობს და ალკოჰოლისაღმი, ისევე როგორც სხვა შხამებისაღმი, შესაძლებელია შეჩევევა, რის გამოც მის დიდ დოზას ორგანიზმი გადაიტანს „შესამჩნევი ცვლილებების გარეშე“.

ერთის შეხედვით, ეს ცვლილებები ზოგჯერ მართლაც შეუმჩნეველია, ვიდრე ორგანიზმს შესწევს უნარი ალკოჰოლით მოშხამვას ერთგვარად შეეგუოს და საკუთარი ძალებით დაფაროს მოშხამვისაგან გამოწვეული ცვლილებები. მაგრამ ეს მაინც შესამჩნევი ხდება ავადმყოფის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ კი ორგანიზმისა და ქსოვილების როგორც მაკროსკოპული, ისე მიკროსკოპული შესწავლით.

საჭმლის მომნელებელ სისტემაში ვითარდება ლორწოვანი გარსის კატარალური მოვლენები. შეცვლილია მისი ნორმალური ფერი, წაშლილია ლორწოვანი გარსის ხავერდოვნება, დაქვეითებულია ჭირკვლებისაგან საჭირო ნივთიერების გამოყოფის უნარი და გემოვნების შეგრძნება. პირის ღრუში,

ხახასა და საყლაპავ მიღმი ვხვდებით განფენილ ან შემოსაზღვრულ გასქელებას ეპითელიუმისას, რომელსაც მოჰქმედი ფერი აქვს.

კუჭში ყველაზე ხშირია ნაირსახოვანი კატარი, ხშირია ეგრეთ წოდებული ჰიპერტონიული კატარი. კუჭის ლორწოვანი გარსი გასქელებულია და არაიშვიათია პოლიპური წამონაზარდები. კუჭის ლორწოვანი გარსის კატარალური ცვლილებები საფუძვლად უდევს კუჭის წვენის გამოყოფის და საჭმლის მონელების უნარის დაქვეითებას.

კუჭის ქრონიკული კატარის გამო ლოთობით დაავადებული უჩივის სიმძიმის გრძნობას კუჭის არეში, ბოყინს, გულმარვას, გულისზიდვას და პირსაქმებას.

შტულერნბა კლინიკურად შეისწავლა ალკოჰოლიზმის გავლენა კუჭის ჯირკვლების მოქმედებაზე და გამოიტანა დასკვნა, რომ ორმოცგრადუსიანი არაყის ბოროტად გამოყენება, როგორც მწვავე, ისე ქრონიკულ შემთხვევებში, ავითარებს კუჭის წვენის გამოყოფის ამა თუ იმ ხარისხით დაქვეითებას. პერიოდული ალკოჰოლიზმის დროს, როგორიცაა გაბმით ლოთობა, ეს დაქვეითება დროებით აღწევს კუჭის ჯირკვლების თითქმის სრულ უმოქმედობამდე.

აღამიანებში, რომლებიც მაგარ სასმელებს არ ეტანებიან, ლოთობა იწვევს იმავე მოვლენებს უფრო ნაკლები ხარისხითა და ხანგრძლიობით.

საყურადღებოა შტულერნის აზრი, რომ არაყის მუდმივი მიღება მცირე რაოდენობითაც კი უფრო მავნებლურად მოქმედებს კუჭის წვენის გამოყოფაზე, ვიდრე პერიოდულად დიდი რაოდენობით მისი მიღება.

ალკოჰოლიზმი დამაქვეითებელ გავლენას ახდენს ნაწლავებში საჭმლის შემადგენელი ელემენტების დაშლის პროცესებზე, რაც ხელს უშლის საკვები პროდუქტების მონელებას და სასარგებლო ნივთიერებების შეწოვას ორგანიზმში. ნაწლავების დაზიანების გამო ჩვეულებრივია პერიოდული ფარაონობა და შექრულობა.

ამგვარად, ალკოჰოლით ქრონიკული მოწამვლა კუჭ-ნაწლავის სისტემაში ანელებს ფიზიოლოგიურ მოქმედებას, იწ-



ვევს მასში კატარალურ მოვლენებს, მონელებისა და შეწყვიშით პროცესების შეფერხებას, რის გამოც ქვეითდება ქსოვილებისათვის საჭირო კვება და ორგანიზმის გამძლეობის უნარი. ამ პირობებში უფრო ადვილად და ხშირად ვითარდება სხვადასხვა ავადმყოფური პროცესი.

ალკოჰოლიანი სასმელები განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ღვიძლზე. ცნობილია ღვიძლის ატროფიული ციროზი, რასაც ალკოჰოლურ ციროზსაც უწოდებენ. მთელი რიგი ავტორები ატროფიული ციროზით შეპყრობილ ავადმყოფთა უმრავლესობაში ალკოჰოლით ქრონიკული მოწამვლის არსებობაზე მიუთითებენ.

ღვიძლზე მოქმედებს არა მხოლოდ ალკოჰოლი, არამედ ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული საჭმლის მონელებისა და შეწოვის პროცესების მოშლის გამო წარმოშობილი დაშლის პროდუქტები, რასაც თავის მხრივ შეუძლია ღვიძლში ციროზული ცვლილებების გამოწვევა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. დავიდოვსკის აზრით, ღვიძლის ციროზის ერთადერთ მიზეზს არ წარმოადგენს ალკოჰოლიზმი და ის შეიძლება წარმოიშვას სხვა მრავალი მიზეზითაც.

ღვიძლს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს აღამიანის სასიცოცხლო პროცესების რეგულირებაში. კუჭ-ნაწლავის სისტემაში მოხვედრილი და წარმოშობილი მავნე ნივთიერებები, შესამები შეწოვის შემდეგ მოხვდება ღვიძლში, სადაც ისინი ნეიტრალიზაციას განიცდიან, უვნებელი ხდებიან. ამით ღვიძლი ორგანიზმის დამცველ ბარიერს წარმოადგენს. ცხოველს ღვიძლი რომ ამოვკვეთოთ, ის ერთ-ორ დღეში მოწამვლისაგან დაიღუპება. ღვიძლი გამოყოფს ნაღველს, რომელიც აუცილებელია ცხიმების დაშლისა და შეწოვისათვის. ღვიძლს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნახშირწყლების, ცილების და წყლის ცვლაში. ღვიძლში გროვდება ორგანიზმისათვის საჭირო საკვები ნივთიერება გლიკოგენი. აქედან ცხადია, თუ რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია ღვიძლის ქსოვილის გადაგვარებას, მის ციროზს.


ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული ღვიძლის



მორფოლოგიური ცვლილებების საილუსტრაციოდ მოგვაწყვეტილი
ნორმალური და ციროზული ღვიძლის მიკროფოტოგრამები.

პირველი სურათი წარმოადგენს ნორმალური ღვიძლის
ქსოვილის მიკროფოტოგრამას, სადაც ნათლად ჩანს მისი წი-
ლაკოვანი შენება (იხ. სურ. 1).

მეორე სურათზე წარმოდგენილია ქრონიკული ალკოჰო-




სურ. 1. მიკროფოტო. ნორმალური ღვიძლის ქსოვილი. შეღებილია
ჰემატოქსილინით და ეოზინით. გადიდებულია 200-ჯერ.

ლიზმისაგან დაღუპული ადამიანის ღვიძლის მიკროფოტოგრა-
მა, სადაც თვალსაჩინოა ციროზული ცვლილებები, წილაკე-
ბის ნორმალური აგებულება დარღვეულია და მათ შორის
გამრავლებულია შემაერთი ქსოვილი (იხ. სურ. 2).

ღვიძლის ატროფიულ ციროზს ფრიად დამახასიათებელი
კლინიკური ნიშნები აქვს: ავადმყოფს ეკარგება მაღა, უჩივის
ძლიერ საერთო სისუსტეს, ცუდ ძილს, ხოლო როცა დაეძი-
ნება, მეტწილად კოშმარულ სიზმრებშია. თვალსაჩინოა კახეჭ-



სია — ძლიერი საერთო სიგამხდრე, კანის სიყვითლე; დოკუმენტი ბი ციანოზური — მოლურჯო ფერისაა. მუცლის ღრუში გრამი დება სეროზული სითხე, ვითარდება წყალმანკი, რის გამოც მუცელი გადიდებულია. ლვიძლის ალკოჰოლური ციროზი ქრონიკულად მიმდინარეობს, მკურნალობას არ ექვემდება- რება და ავადმყოფი კვდება.



სურ. 2. მიკროფოტო. ლვიძლის ციროზი. წილაკებში, ხარიხებ- სა და უჯრედებს შორის ლიმფოიდურუჯრედოვანი ინფილტრა- ტები. შელებილია ჰემატოქსილინით და ეოზინით. გადიდე- ბულია 180-ჯერ.

ცნობილია, რომ ქრონიკული ალკოჰოლიზმი იწვევს ორგა- ნოებისა და ქსოვილების ცხიმოვან გადაგვარებას, ცხიმის დაგროვებას.

ცხიმი ორგანიზმის პასიური ქსოვილია. ცხიმოვანი გადაგ- ვარება და ცხიმის დაგროვება ორგანოების ნორმალურ მოქ- მედებას აქვეითებს ან სავსებით სპობს.

კუტექვეშა ჭირკვალში შეინიშნება გაცხიმება, ქრონიკული ანთებითი ცვლილებები და ციროზი.



სათესლე ჯირკვლებში გროვდება ცხიმი, ცვლილებას ნიცდის მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი (პარენქიმა), ქვითდება და შემდეგში სრულიად წყდება სპერმის გამოყოფა. ამით აიხსნება ალკოჰოლიკების ჯერ სქესობრივი უნარის დაქვეითება და შემდეგ მისი სრული მოსპობა.

სათესლე ჯირკვლის მაგვარი ცვლილებები ვითარდება საკვერცხებშიც.

აღნიშნულია ფარისებრი ჯირკვლის დეგენერაციული ცვლილებები.

ალკოჰოლი განსაკუთრებით მოქმედებს გულზე, იწვევს მის ცხიმოვან გადაგვარებას, მნიშვნელოვნად აფართოებს პარკუჭებს და აქვეითებს გულის მოქმედების უნარს.

ალკოჰოლიანი სასმელები აჩქარებს გულის ცემას. როდესაც სპირტიანი სასმელების მიღებას ხანგრძლივი, სისტემატური ხასიათი აქვს, მაშინ გულის კუნთის მუშაობის ძალა თანდათან ქვეითდება. ლოთს სიარულის, სიმაღლეზე ასვლის ან რაიმე ფიზიკური დატვირთვის დროს უვითარდება ქოშინი და გულის ფრიალი. ამის გამო შრომის უნარი ქვეითდება, სიცხიანი ავადმყოფობა დიდ რეაქციას იძლევა და ხშირად სიკვდილის მიზეზიც კი ხდება.

ქრონიკული ალკოჰოლიზმი ხელს უწყობს არტერიოსკლეროზის განვითარებას. ამ დროს მიმდინარეობს სისხლის ძარღვების კედლებში მარილების დაგროვება, მისი გამკვრივება. ნორმალური ელასტიკური თვისებების დაკარგვა.

არტერიების სკლეროზი მრავალგვარ მოშლილობას იწვევს. როდესაც საქმე ეხება თავის ტვინის სისხლის ძარღვების სკლეროზს, მაშინ ტვინის ფუნქციური ზოგადი დაქვეითების ფონზე ხშირად ვითარდება სისხლის მიმოქცევის მოშლა თავის ტვინში და ამის გამო დამბლების, მეტყველების მოშლის და სხვა მოვლენების განვითარება, იმის მიხედვით, თუ სად ჩაიქცევა სისხლი ან არტერიის რომელი ტოტი დაიხშობა და გამოითიშება მისი მკვებავი უბნის ფუნქციები.

გულის ანგინის შეტევებს ხშირად იწვევს გულის მკვებავ სისხლძარღვთა სკლეროზი.

სისხლის ძარღვების სკლეროზი მთელი ორგანიზმის დაა-



ვადებაა. ის შინაგანი ორგანოების რიგი პროგრესული შეუძრუნებელი დაავადებების მიზეზია. ალკოჰოლიზმი ხელს უწყობს სისხლის ძარღვების სკლეროზის განვითარებას, რაც იწვევს შინაგან ორგანოთა დაავადებას.

ლოთებს შორის, მიუხედავად იმისა გარეგნულად მსუქანი არიან თუ არა. ვხვდებით ცხიმოვანი ქსოვილის დაგროვების უთანაბრო განაწილებას; ცხიმი უპირატესად გროვდება ჯორჯალში, ბადექონში, თირკმლის ფიალების მახლობლად და გულის გარშემო.

ალკოჰოლიზმს შეუძლია სისხლნაკლებობის გამოწვევა. სისხლნაკლებობის დროს დაქვეითებულია ქსოვილების კვება, მისი გამძლეობის უნარი, ამის გამო ქსოვილსა და ორგანოში ადვილად ვითარდება სხვადასხვა ავადმყოფური პროცესი. აქედან გასაგები ხდება ალკოჰოლიკების ნაკლები გამძლეობა ავადმყოფობისადმი და კერძოდ სხვადასხვა ინფექციისადმი.

ამით აიხსნება, სხვათა შორის, ტუბერკულოზით დაავადების სიხშირე ლოთებს შორის. ალკოჰოლიზმი ხელს უწყობს ტუბერკულოზის განვითარებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მკვლევართა შორის ამ საკითხში ერთიანი აზრი არ არსებობდა. ავტორთა ერთი ჯგუფი აღიარებდა, რომ ალკოჰოლიზმი ფილტვში ავითარებს ნაწიბუროვან ქსოვილს, რითაც ხელსაყრელ პირობებს ჰქმნის ორგანიზმისათვის და აფერხებს ტუბერკულოზის ჩირის ზრდა-განვითარებას; მეორენი ითვალისწინებდნენ ალკოჰოლის დამაუდლურებელ გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და მას ტუბერკულოზის გავრცელების და მძიმე მიმდინარეობის ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევდნენ. ზოგი კი უარყოფდა ტუბერკულოზსა და ალკოჰოლიზმს შორის მტკიცე ურთიერთდამოკიდებულებას.

ამით აიხსნება, მაგალითად, რომ ს. ე. ნეზლინამ ალკოჰოლიზმისა და ტუბერკულოზის საკითხის საჭმაოდ ვრცელი ლიტერატურული მიმოხილვის შემდეგ რაიმე დასკვნის გამოტანისაგან თავი შეიკავა და აღნიშნა მხოლოდ ალკოჰოლიზმის, როგორც ერთ-ერთი მავნე ფაქტორის, მნიშვნელობა თავის ტვინის სისხლ-ძარღვების სკლეროზის განვითარებაში.

ამჟამად მოიპოვება მრავალი ფაქტობრივი მასალა დასაღასტურებლად, რომ ვინც სისტემატურად სვამს სპირტიან სასმელებს, დარღვეული აქვს კვების რეჟიმი, დაქვეითებული აქვს ორგანიზმის გამძლეობა, ადვილად ავადდება ტუბერკულოზით, ხოლო შემდეგში, უკვე განვითარებულ ტუბერკულოზურ პროცესზე ალკოჰოლი უარყოფით გავლენას ახდენს, აჩქარებს და ამძიმებს ავადმყოფობის მიმღინარეობას.

ი. დავიდოვსკის მიხედვით, საერთოდ, ცნობილია ალკოჰოლიზმის უარყოფითი გავლენა უკვე განვითარებული ინფექციური დაავადების მსვლელობაზე; ალკოჰოლიზმი ამძიმებს და ახანგრძლივებს ავადმყოფობას. მაგალითად, ფილტვების ანთება მცოცავ ხასიათს ღებულობს, ერთი უბნიდან მეორეზე გადადის, ფილტვის ქსოვილი ჩირქდება, განგრენას განიცდის და სხვ. ზოგჯერ კი რომელიმე ინფექციურ დაავადებას დაერთვის ალკოჰოლიზმისათვის დამახასიათებელი მოვლენები, მაგალითად მწვავე ალკოჰოლური ფსიქოზი.

ალკოჰოლი წამლავს უჯრედს, იწვევს მთელი რიგი დაშლითი (დეგენერაციული) ხასიათის ცვლილებებს. უჯრედის შემადგენელი ნაწილი — პროტოპლაზმა ალკოჰოლის მოქმედებით კარგავს წყალს, რის გამოც მისი სასიცოცხლო ფუნქციები მნიშვნელოვნად უარესდება და ძლიერი ხანგრძლივი გავლენისაგან კი სრულიად იღუპება.

ალკოჰოლისაგან გამოწვეული ძირითადი პათოლოგიური ცვლილებების ცოდნა ნათელ წარმოდგენას მოგვცემს ამ მოშხამვის მნიშვნელობაზე შინაგან ორგანოთა დაავადებაში. შინაგანი ორგანოს ისეთი დაავადების დასახელება, რომელსაც მხოლოდ ალკოჰოლური მოწამვლა იწვევდეს, არსებითად ძნელია. შინაგან ორგანოთა დაავადებას მრავალი რთული, ერთობლივი მოქმედება უდევს საფუძვლად. რაც შეეხება ინფექციურ დაავადებებს, ისინი სპირტიანი სასმელების მიღებით დასუსტებულ ორგანიზმში ადვილად ვითარდებიან და მძიმე მიმღინარეობა აქვთ. ასე უნდა გავიგოთ ალკოჰოლიზმის მნიშვნელობა შინაგან ორგანოთა დაავადებების განვითარებაში. რაც შეეხება ნერვული სისტემის და კერძოდ, ფსიქიკურ დაავადებებს, აქ ალკოჰოლიზმს პირდაპირი მიზეზობრივი მნიშვნელობა ენი-

ჭება და ის უშუალოდ იწვევს გარკვეული ხასიათის აშლილო-
ბებს, რაზედაც ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ალკოჰოლური მოწამვლა აზიანებს ყოველ ორგანოს, მაგ-
რამ ყველაზე მეტ რეაქციას ალკოჰოლის მიმართ იჩენს ნერვუ-
ლი სისტემა. სწორედ ამიტომ ალკოჰოლისადმი ნერვული სის-
ტემის რეაქციით განისაზღვრება დათრობის ხარისხი.

დათრობა, უპირველეს ყოვლისა, ნერვულ სისტემაზე მოქ-
მედებს, რაც გამოიხატება ფსიქიკური ფუნქციების შეცვლაში,
მოძრაობის მიმართულების და ზომიერების დარღვევაში (კო-
ორდინაციის მოშლა) და მგრძნობელობის დაქვეითებაში. მა-
შასადამე, ალკოჰოლური მოწამვლა მძლავრ გავლენას ახდენს
თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქზე, ნათემზე და
ნერვული იმპულსების გამტარებელ გზებზე. ამიტომაა, რომ
სისტემატური ლოტობის შემთხვევაში ნერვული სისტემა ღრმა
ცვლილებებს განიცდის.

გასული საუკუნის სამოციან წლებამდე ალკოჰოლის ნერ-
ვულ სისტემაზე გავლენა და კერძოდ მისგან გამოწვეული პა-
თოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები სისტემატური მეცნი-
ერული კვლევის საგანს არ წარმოადგენდა.

ვ. ა. აფანასიევის მიხედვით, ალკოჰოლური მოწამვლით გა-
მოწვეული ნერვული სისტემის აშლილობა პირველად აღწერა
სტოკოლმის პროფესორმა მაგნუს ჰუსმა 1852 წელს. მაგნუს
ჰუსმა ქრონიკული ალკოჰოლიზმის არს ნერვული სისტემის
ცვლილებებში ხედავდა, მაგრამ რაიმე მატერიალური ცვლილე-
ბების გარეშე, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველებზე ცდების
დროს ის ნახულობდა ზოგიერთ ცვლილებებს — ჭარბ სისხლ-
საგენერაციას, სეროზული სითხის დაგროვებას ზურგის ტვინის
მაგარ გარსსა და ქსელისებრ გარსს შორის. აღსანიშნავია, რომ
ავტორი მხოლოდ მაკროსკოპული გამოკვლევის მეთოდით
სარგებლობდა. ამეამად მაგნუს ჰუსმის შრომას მხოლოდ ის-
ტორიული მნიშვნელობა აქვს, რადგან მას შემდეგ მრავალი
გამოკვლევა იქნა ჩატარებული და საღლეისოდ ძირითადად
დადგენილია ნერვული სისტემის მორფოლოგიური ცვლილე-
ბები ალკოჰოლის როგორც მწვავე, ისე ქრონიკული მოწამვ-
ლის დროს.

2. ა. მინდაძე



ვ. ა. აფანასიევმა 1890 წელს უურნალში „რუსკაია მედიცინული უნივერსიტეტის გამოაქვეყნა დიდმნიშვნელოვანი ნაშრომი თავის ტემაზე „ცვლილებების შესახებ ალკოჰოლით მოწამვლის დროს, სადაც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის შეჯამებული მანამდე არსებული გამოკვლევები, რაც კი მიეძღვნა ალკოჰოლის გავლენას ადამიანის ორგანიზმზე და კერძოდ ნერვულ სისტემაზე; განხილულია ძალებზე ჩატარებული საკუთარი ცდების შედეგები და წარმოდგენილია მნიშვნელოვანი დასკვნები ნერვულ სისტემაში ალკოჰოლური მოწამვლისაგან განვითარებული პათოლოგიურ-ანატომიური სურათის შესახებ.

ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებების შესწავლის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით რუს მკვლევარებს. ასე, მაგალითად, კრემინსკიმ (1868) ჩატარა ცდები ლეკვებზე. ის ლეკვებს სამითხი თვის განმავლობაში აძლევდა ორმოცდახუთ გრადუსიან სპირტს და გაკვეთისას ნახულობდა ტვინის მაგარი გარსის ანთებას და ასეთ ცვლილებას ქრონიკული ალკოჰოლიზმის სპეციფიკურ დამახასიათებელ ნიშნად აღიარებდა, თუმცა ტვინის მაგარი გარსის ანთება ქრონიკული ალკოჰოლიზმის მუდმივ გართულებად არ ითვლება.

სუდეიკინმა (1886) აღწერა ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს განვითარებული დამბლის შემთხვევათა მაკროსკოპული და მიკროსკოპული ხასიათის რიგი დაშლითი ცვლილებები ზურგის ტვინის ნივთიერებასა და მისი სისხლის ძარღვებში.

აქ აუცილებელია აღინიშნოს გამოჩენილი რუსი ფსიქიატრის ს. ს. კორსაკოვის (1887) საღოქტოორო დისერტაცია, სადაც დაწვრილებით აღწერილია ალკოჰოლური წარმოშობის ნერვების მრავლობითი ანთების 20 შემთხვევა.

ს. ს. კორსაკოვის მონაცემებით, ალკოჰოლური წარმოშობის ნერვების მრავლობით ანთებას საფუძვლად უდევს ნერვის უჯრედოვან-ბოჭკოიანი ჰისტოლოგიური მთლიანობის დარღვევა. ზოგჯერ ცვლილებები ვითარდება ზურგისა და თავის ტვინში, პერიფერიულ ნერვში პარენქიმული ანთების მოვლენებია. თავისა და ზურგის ტვინში არსებული მორფოლოგიური ცვლილებები შემდეგში მდგომარეობს: ნერვული უჯრე-

დები გადაგვარებას განიცდის (ატროფია, ვაკუოლიზაცია), სისხლის ძარღვები შეცვლილია, ალაგ-ალაგ გვხვდება წვრილი სისხლჩაქცევები და შემაერთი ქსოვილის განვითარება.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ს. ს. კორსაკოვმა საფუძველი ჩაუყარა ალკოჰოლიზმის ნერვულ სისტემაზე გავლენის ნამდვილ მეცნიერულ შესწავლას, როგორც კლინიკური, ისე მორფოლოგიური მიმართულებით და გააღვიძა მკვლევართა ინტერესი ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემისადმი.

რუსეთის ექიმთა მესამე ყრილობაზე, 1889 წელს, მოსმენილ იქნა ჩიყისა და ვ. ა. აფანასიევის მოხსენებები ცხოველებში ალკოჰოლისაგან გამოწვეული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებების შესახებ.

ცნობილი რუსი ფრიძეატრისა და ნევროპათოლოგის ი. პ. მერუევსკის ლაბორატორიაში იაკიმოვმა ჩაატარა საყურადღებო ექსპერიმენტი ძალებზე იმ მიკროსკოპული ცვლილებების გამოსარკვევად, რასაც ალკოჰოლით მწვავე და ქრონიკული მოწამვლა იწვევს ნერვულ სისტემაში.

იაკიმოვმა ალკოჰოლით მწვავე მოწამვლისას ზურგისა და თავის ტვინში და გარსებში ნახა სისხლის ძარღვების გაფართოება და სისხლსავსეობა, ხოლო ქრონიკული მოწამვლის დროს დაღვნილ იქნა მკვეთრი ცვლილებები დაშლითი მოვლენების სიჭარბით თავისა და ზურგის ტვინის ნერვულ უჯრედებში.

ვ. ა. აფანასიევმა აწარმოვა ვრცელი ექსპერიმენტული დაკვირვება ცხოველებზე (ძალი, ბაჭია, ზღვის გოჭი, თეთრი თავგი) ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეულ თავის ტვინში მორფოლოგიური ცვლილებების შესასწავლად და გამოიტანა მნიშვნელოვანი დასკვნები. პირველად მისი შრომა გამოქვეყნდა 1889 წელს, ხოლო შემდეგ კი 1890 წელს. ავტორის აზრით, ალკოჰოლური მოწამვლისაგან თავის ტვინის ქერქში გამოწვეული ცვლილებები შემდეგია: ლიმფის შეგუბება და ტვინის ქსოვილის შეშუპება, სისხლის ძარღვების კედლების ცხიმოვანი გაუღენთვა (ინფილტრაცია), ნერვული



უჯრედების ნაირსახოვანი გადაგვარება ანთებადი მოვლენების გარეშე.

ვ. ა. აფანასიევის აზრით, თავის ტვინში გადაგვარებითი ცვლილებები დამკიდებული უნდა იყოს სისხლზე და თვით ნერვულ ელემენტებზე ალკოჰოლის მოწამვლელი გავლენისაგან.

იმავე ავტორის შეხედულებით, თავის ტვინის ქერქის უჯრედებში მთელი რიგი გადაგვარებითი ხასიათის ცვლილებები საფუძვლად უდევს იმ როგორი კლინიკური სურათის განვითარებას, რასაც ალკოჰოლით ქრონიკული მოწამვლა იწვევს.

ე. ა. ნილსენმა (1906) ექსპერიმენტული მონაცემებით ვრცლად წარმოადგინა ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები ნერვულ სისტემაში.

ქედან ნათლად ჩანს, თუ რა დიდმნიშვნელოვანი, ღრმა მეცნიერული მუშაობა იყო ჩატარებული რუსეთში მე-19 საუკუნის ბოლო წლებში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული ნერვული სისტემის პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებების შესასწავლად. მას შემდეგ დიდი მუშაობა წარმოებდა და დღევანდლამდე მრავალი საინტერესო გამოვლევა ჩატარებული ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული მორფოლოგიური ძვრების დასადგენად. ამჟამად ძირითადად ცნობილია ამ ცვლილებების ხასიათი კვლევის თანამედროვე მეთოდების შესაბამისად. ამ საკითხის დეტალური განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს. საბოლოოდ მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული ფაქტების აღნიშვნით დავკამაყოფილდებით.

ალკოჰოლური წარმოშობის ნერვების მრავლობითი ანთების დროს პერიფერიულ ნერვში პარენქიმული ანთების მოვლენები ვითარდება, დაშლილია ნერვის მთავარი შემადგენელი, იმპულსების გამტარი ელემენტები — ღერძცილინდროვანი მორჩები. პარენქიმული ანთება საფუძვლად უდევს დაბლების, კუნთების ატროფიისა და მგრძნობელობის მოშლის განვითარებას.

საცდელი ცხოველის ნერვში ალკოჰოლის შეშხაპუნება



იწვევს ნერვის „ქიმიურ გადაჭრას“, ღერძცოლინდროფილული მორჩების გადაგვარებას შეშხაპუნების ქვემო მონაკვეთში და ნერვის ფუნქციის მოსპობას.


ნერვში ალკოჰოლის შეშხაპუნება, სხვათა შორის, გამოყენებულია როგორც სამკურნალო საშუალება სამწვერა ნერვის ნევრალგიის დროს.

ცხოველების ნერვში სპირტის შეყვანა სპობს ნერვის ფუნქციებს, ვითარდება დამბლა და ატროფია იმ კუნთებისა, რომელთა ინერვაციასაც მოცემული ნერვი აწარმოებს. ისპობა მგრძნობელობა და რეფლექსები. რაც შეტია სპირტის კონცენტრაცია, მით უფრო ღრმა ცვლილებები ვითარდება ნერვში და გვიან ხდება აღდგენაც. ამ მხრივ საინტერესო ცდები ჩატარა მ. ი. გაბრიელიანმა (1947). ავტორი უკვირდებოდა ძალლებში მუხლის რეფლექსის მოსპობასა და აღდგენას შესაფერ ნერვში სხვადასხვა კონცენტრაციის სპირტის შეშხაპუნების შემდეგ, და აღმოჩნდა, რომ რაც უფრო მაღალი კონცენტრაციისაა სპირტი, მით უფრო გვიან ხდება მუხლის რეფლექსის აღდგენა.

ა. ვეღენსკის აზრით, ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ადგილი აქვს როგორც ანთებადი, ისე გადაგვარებითი ხასიათის ცვლილებებს, როგორიცაა: ტვინის გარსების ანთება, სისხლსავსეობა, შეშუპება, ტვინის ხვეულების განლევა, რაც უფრო შესამჩნევია ცენტრალურ და შუბლის წილაკებში. მიკროსკოპის საშუალებით ჩანს ტვინის მთავარი (განგლიური) უჯრედების და ბოჭქოების გადაგვარება. სისხლის ძარღვების კედლების გასქელება, სისხლის ძარღვის შიგნითა შრის ცხიმოვანი გადაგვარება, თავის ტვინისა და მისი გარსების ცვლილება ალკოჰოლური მოწამვლის ხარისხის შესაბამისად არის გამოხატული.

თავის ტვინში მიკროსკოპული ცვლილებების საილუსტრაციოდ წარმოდგენილია ნორმალური თავის ტვინის დიდი ჰემისფეროს ქერქის და ქრონიკული ალკოჰოლიკის თავის ტვინის დიდი ჰემისფეროს ქერქის მიკროსკოპული შენება (იხ. სურ. შე-3 და მე-4).

მეოთხე სურათზე ნათლად ჩანს თავის ტვინის მთავარ (გან-



სურ. 3. მიქროფოტო. ნორმალური თავის ტვინის მარჯვენა ჰე-
მისფეროს წინა ცენტრალური ხვეულის ქერქი. შეღებილია
ნისლის მეთოდით. გადილებულია 300-ჯერ.

გლიურ) უჯრედებში ქრომატინის მარცვლების მომატება
(პიპერქრომატოზი) მეექვსე შრეში და ამ უჯრედთა გადაგვა-
რება.

ასეთია ძირითადად ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამო-
წვეული პათოლოგიურ-ანატომიური ცვლილებები. ეს
ცვლილებები საფუძვლად უდევს მრავალი ავადმყოფური
მდგომარეობის გამომუდავნებას.

ალკოჰოლიზმი დიდ უარყოფით გავლენას ახდენს შთამო-
მავლობაზე. ბავშვი ფიზიკურად სუსტი იბადება, ნელა და ძნე-
ლად ვითარდება. ალკოჰოლიკების შვილებში ხშირია მრავა-
ლი დაავადება, როგორიცაა: ფსიქოპათია, ჭკუასუსტობა, ეპი-
ლეფსია და სხვ. ასეთი ბავშვები აღვილად ავადდებიან მწვა-
ვე ინფექციებით და ორგანიზმის ნაკლები გამძლეობის გამო
ხშირად იღუპებიან.

თანდაყოლილი ჭკუასუსტობის მიზეზთა შორის ალკოჰო-
ლიზმს მნიშვნელოვანი აღგილი უკავია: საინტერესოა ფრანგი



სურ. 4. მიკროფოტო. ქრონიკული ალკოჰოლიკის თავის ტვინის მარჯვენა ჰემისფეროს წინა ცენტრალური ხვეულის ქერქი. ტვინის მთავარ (განგლიურ) უქრედთა ჰიპერქრომატოზი მე-6 შრეში. მარჯვნივ გამოვარდნის უბანი. შეღებილია ნისლის მეთოდით. გადადებულია 200-ჯერ.

მეცნიერის ბურნევილის მონაცემები (1898): ათასი იდიოტი ბავშვის შესწავლით ალკოჰოლიზმი აღინიშნებოდა მამის მხრივ 471 შემთხვევაში, დედის მხრივ — 84 შემთხვევაში; როგორც დედის, ისე მამის მხრივ — 65 შემთხვევაში; სულ ალკოჰოლური მიზეზი დადგენილ იქნა 570 შემთხვევაში: ეს მონაცემები ნათლად მიუთითებს, თუ რა დიდ როლს ას-რულებს ალკოჰოლიზმი იდიოტიზმის განვითარებაში.

ალკოჰოლიზმის გავლენა ნერვულ სისტემაზე

ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის გავლენის მექანიზმების მრავალი საკითხი გამოკვლეულია ცხოველებზე ექსპერიმენტის საშუალებით, ხოლო აღამიანზე ამ ნივთიერების მოქმედება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის კვლევის საგანს შეად-



გენდა. ამ მიმართულებით ერთადერთ სწორ მეთოდად უნდა ჩაითვალოს უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლა ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შესაბამისად.

ექსპერიმენტული ხასიათის მრავალ შრომათა შორის უნდა მივუთითოთ დიდი რუსი ფიზიოლოგის ი. მ. სეჩენოვის სადო-ქტორო დისერტაციაზე (1860), რომელიც მიეძღვნა ალკო-ჰოლური მოწამვლის ფიზიოლოგიური საფუძვლების შესწავლას. სეჩენოვმა ბრწყინვალე ცდებით დაამტკიცა ალკოჰოლის სპეციფიკური გავლენა თავის ტვინზე და საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ კვლევას ალკოჰოლიზმის ექსპერიმენტული კვლევის საქმეში.

ალკოჰოლი, როგორც ნარკოზული საშუალება, აგზნების ფაზის გავლის შემდეგ იწვევს ნერვული ცენტრების შეკავებას. აგზნება და შეკავება ცოცხალი ორგანიზმის და, კერძოდ, ნერვული უჯრედის აქტიური პროცესის ორ სხვადასხვა გამოვლინებას წარმოადგენს. აგზნების დროს ძლიერდება ნერვული ცენტრების მოქმედება, შეკავების დროს კი მისი მოქმედება კინიდება — ზოგჯერ სრულ შეკავებამდე, რასაც ცნობილმა რუსმა ფიზიოლოგმა ე. ე. ველენსკიმ პარაბიოზი უწოდა.

პარაბიოზი მოჩვენებით სიკვდილს წარმოადგენს. ამ დროს ნერვული ღერო გალიზიანებაზე არ უპასუხებს, მაგრამ ვარკვეულ პირობებში ნერვის ფუნქციური მდგომარეობა აღდგება, ე. ი. პარაბიოზი ნამდვილი სიკვდილისაგან იმით განსხვავდება, რომ მას აღდგენადობის თვისება აქვს, ნამდვილი სიკვდილი კი შეუქცევადია.

ალკოჰოლის დიდი დოზები ჯერ ნერვულ ცენტრებს აღზნებს, რაც სიმთვრალის პირველ სტადიაში გამომუღავნდება, შემდეგ აგზნებას შეკავება სცვლის და ბოლოს ვითარდება პარაბიოზის მსგავსი მდგომარეობა, რაც მოვრალის ნარკოზულ, ღრმა ძილში გამოიხატება.

ალკოჰოლური მოწამვლის დროს აგზნების ფაზის საკითხების გარკვევას მიეძღვნა კ. ა. ვეინერის და მ. ნ. უუკოვსკის სადოქტორო დისერტაციები ვ. მ. ბეხტერევის ლაბორატორიიდან.

ალკოჰოლის მოქმედების მექანიზმის შესწავლა იყო და



არის ექსპერიმენტული კვლევის საგანი. ასე, მაგალითად კურადღებო ცდები ჩატარა ა. ბაკურაძემ, ა. აბესაძემ ა. სიხარულიძემ კუჭის კედლის ძლიერი მექანიკური გაღიზიანებით გამოწვეულ შეკავებაზე კოფერის და ოლკოპოლის გავლენის საკითხის შესასწავლად.

გამოირკვა, რომ პავლოვის წესით იზოლირებული პატარა კუჭის მქონე ძალზე ჯირკვლების მოქმედების შეკავებას იწვევს კუჭის კედლის ძლიერი მექანიკური გაღიზიანება, რაც შეიძლება განვახორციელოთ პატარა კუჭში წინასწარ მოთავსებულ რეზინის ბალონში ოცდაჩვიდმეტ გრადუსიანი 500 მლ წყლის შეყვანით. საკვების მიცემისა და კუჭში მოთავსებულ ბალონში 500 მლ წყლის შეყვანის და სწორ ნაწლავში თხუთმეტპროცენტიანი სპირტის 100 მლ შეყვანის შემდეგ კუჭის სეკრეცია შესამჩნევად მატულობს.

ეს მოვლენა, ავტორების აზრით, შეიძლება აიხსნას ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედებში შეკავებითი პროცესების შესუსტებით ალკოჰოლის ზემოქმედების გამო.

მრავალი ექსპერიმენტია ჩატარებული, რომელიც ადასტურებს ალკოჰოლის ნერვულ სისტემაზე გავლენას. ამ საკითხის განხილვა ჩვენს თემას პირდაპირ არ ეხება და ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ცხოველებზე ჩატარებული ცდები საერთოდ ნათელს ჰფენენ ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის მავნე გავლენას და ზოგჯერ გვემარება სამკურნალო მეთოდის შერჩევაში. ასე, მაგალითად, ს. ო. იაროშევსკი (1887) გვირჩევდა სტრიქნინის ფართოდ გამოყენებას ალკოჰოლით დაავადებულ ადამიანთა სამკურნალოდ.

სტრიქნინს დღემდე იყენებენ ამ დაავადების თერაპიაში. ამ პრეპარატის დადებითი თერაპიული ეფექტის ახსნა შეიძლება ვეძიოთ სტრიქნინის და ოლკოჰოლის ერთმანეთის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიურ მოქმედებაში. ი. ა. ვეტკოვმა (1911) სტრიქნინით ბაყაყის საერთო მოწამვლის შედეგად შენიშნა, რომ მოწამვლისას მომხრელი კუნთი უფრო ადრე იძლევა შეკუმშვის ეფექტს, ვიდრე გამშლელი კუნთი; მ. რ. მოგენდოვიჩის ცდებში (1929) ბაყაყის ზურგის ტვინზე ალკო-



ჰოლის უშუალო მოქმედებით გამშლელი კუნთი უფრო დადგინდა ეფექტს, ვიდრე მომხრელი კუნთი.

აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ სტრიქნინი ალკო-ჰოლის საწინააღმდეგო მოქმედებას იჩენს ნერვულ ცენტრებზე და ამით შეიძლება ავხსნათ სტრიქნინის სამკურნალო მოქმედება.

ალკოჰოლიანი სასმელების ბოროტად გამოყენება მთელი ორგანიზმის მოშხამვის იწვევს, მაგრამ ის, პირველ ყოვლისა, ნერვულ სისტემაზე მოქმედებს. სიმთვრალე ალკოჰოლით მწვავე მოწამვლას წარმოადგენს და მისი ხარისხი განისაზღვრება არა მარტო სპირტიანი სასმელების რაოდენობით, არამედ ნერვული სისტემის იმ რეაქციით, რასაც ადამიანი სიმთვრალის სახით ამჟღავნებს.

მთვრალ ადამიანს თავის ტვინის ქერქის უჯრედების ალკოჰოლით მოშხამვის გამო, ეკარგება თავშეკავების უნარი — რაიმე განზრახვა, გონების კონტროლის გარეშე, მაშინვე მოჰყავს სისრულეში. მასში იღვიძებს ცხოველური ინსტინქტი, ჰეკარგავს ადამიანურ თვისებებს და ამორალური ხდება.

ჩადენილი ბოროტმოქმედების მეტი ნაწილი სიმთვრალის პირობებშია მომხდარი. ალკოჰოლიზმი ბოროტმოქმედების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს.

ტრანსპორტზე მომხდარი უბედური შემთხვევების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მძლოლის სიმთვრალეა.

სიმთვრალე მოქმედებს ნერვული სისტემის ყველა ფუნქციაზე, როგორიცაა: ფსიქიკური ფუნქციები, მოძრაობა, საერთო ხასიათის მერძნობელობა, უმაღლეს გრძნობათა ორგანოები, ვეგეტატიური ფუნქციები, ორგანიზმის სიცოცხლისათვის საჭირო პროცესები და სხვ.

ინტერესმოკლებული არ იქნება თვითეული მათგანის მოქლე დახასიათება.

თავის ტვინის ქერქის უჯრედების მოწამვლა, მათში აგზნებითი მოვლენების სიჭარბე ნებისმიერ მოძრაობებს იმპულსურ, სწრაფ ხასიათს აძლევს. ერთის შეხედვით, მთვრალს თითქოს ფიზიკური ძალა ემატება, მაგრამ ეს მოჩვენებითია;

ძალის მომატების შთაბეჭდილებას მხოლოდ ნებისყოფილი არის. ტის შესრულების სისწრაფე ჰქმნის.

მთვრალი ადამიანი ჰყარგვას ჰარმონიული და შეთანხმებული მოძრაობის უნარს, გაურკვევლად ლაპარაკობს, ლუღლულებს. ლაპარაკის აქტის განხორციელებისათვის საჭირო მეტყველების პერიფერიული აპარატის ყველაზე ზუსტი კოორდინაციული მოქმედება. ყოველი ბეგრის წარმოქმა მოითხოვს ბეგრის იოგების, რბილი სასის, ენის, ლოყების, ტუჩების, ყების განსაზღვრულ მდგომარეობაში ყოფნას და ჰაერის სათანადო, დოზირებულ გატარებას ზემო სასუნთქ გზებში. ამიტომ არის, რომ მთვრალის, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკის მოშლა, ენაბორბიკობა ეწყება. ამ შემთხვევაში გაურკვეველი ლაპარაკი მოწამვლის ხარისხის შესაბამისია.

მოძრაობის კოორდინაციის მოშლა ეხება ტანსა და კიდურებს. მთვრალის სხეულის წონასწორობა დარღვეული აქვს. რაიმე საგნის ხელში ალებისას გადაჭარბებულად გაშლის ხელს და დანიშნულების ადგილის არეული ნაბიჯით მიაქვს; ამიტომ საგანი ხშირად უვარდება ხელიდან. მთვრალი სიარულის დროს ბარბაცებს, ზიგზაგისებური ნაბიჯებით დადის, ფეხები ერთმანეთისაგან დაშორებულია, ნაბიჯი მოკლეა, ხან სწრაფი და ხან კი ნელი. მთვრალის სიარული იმდენად დამახასიათებელია, რომ მას ერთი შეხედვით გამოიცნობენ. ასეთ სიარულს მთვრალის სიარულს უწოდებენ.

შეთანხმებული მოძრაობის უნარის მოშლის გამო მთვრალი ადამიანი ადვილად ეცემა, იმტვრევა, სახიჩრდება ან სიმაღლიდან გადმოვარდნის მსხვერპლი ხდება.

სიმთვრალის დროს შეთანხმებული მოძრაობის უნარის მოშლა საკოორდინაციო აპარატის, ნათხემის და მისგან გამომდინარე იმპულსების გამტარებელი გზების მოშხამვის შედეგია.

არაიშვიათია თვალის მამოძრავებელი ნერვების ფუნქციათა დროებითი გამოვარდნა და ამის შედეგად ქუთუთოს დაშვება და სიელმე. ამით აიხსნება, რომ მთვრალს ხშირად ერთი საგანი ორად ეჩვენება.

ალკოჰოლი ნაწილობრივ აყუჩებს ტკივილებს, მოწამვლის



მწვავე პერიოდში იწვევს საერთო მგრძნობელობის მატერიალურობას, რის გამოც სიმთვრალეში მიყენებული რაიმე შტრიგ-ნეული გაღიზიანება — დარტყმა, დაცემა, დამტვრევა, დაჭრა, და სხვ. ნაკლებ მტკივნეულია.

შესამჩნევია მხედველობისა და სმენის დაქვეითება. მთვრალი ბუნდოვნად და ცუდად ხედავს, ყურები უშხუის და ზოგჯერ ლაპარაკი გაურკვეველ ბგერებად ჩაესმის.

გემოვნების პერიფერიულ მოწყობილობაზე ალკოჰოლის მომწამვლელი გავლენის გამო გემოვნების შეგრძნება მკვეთრად ქვეითდება. ამით აიხსნება სიმთვრალეში ცხარე სანელებლების (წიწაკა, მდოგვი, პირშუშხა, ძარი, ტყემალი და სხვ.) სიამოვნებით და გადაჭარბებით მიღება.

შესამჩნევია ნაირსახოვანი ეგრეთ წოდებული ვეგეტატიური რეაქციები: გულისცემისა და სუნთქვის აჩქარება, ოფლიანობის გაძლიერება, კანის გაწითლება ან სიმკრთალე და სხვ.

მთვრალს დამახასიათებელი გამომეტყველება აქვს.

დათრობის პირველ პერიოდში ნერვული სისტემის ფუნქციები აჩქარებულია აგზნებითი პროცესების სიჭარბის გამო, შემდეგში კი, შეკავებითი პროცესების განვითარების შესაბამისად, ეს რეაქციები თანდათან ნელდება და ვითარდება ღრმა ნარკოზული ძილი. გამოლვიძებისას სიმთვრალეში ჩადენილი მოქმედება აღამიანში სირცეზილის გრძნობას იწვევს. ზოგჯერ ხდება სიმთვრალის პერიოდის ნაწილობრივი ან სრული დავიწყება (ამნეზია).

გამოფხიზლებისას ადამიანი გრძნობს თავის ტკივილს, თავბრუდახვევას, გულისრევას, უხალისობას, საერთო დამტვრეულობასა და სისუსტეს.

ყოვლად დაუშვებელია დათრობის შემდეგ თითქოს „გამოფხიზლების“ მიზნით სპირტიანი სასმელების „მცირე“ დოზების მიღება, რაღაც ამ „მცირე“ დოზებს ხშირად „დიდი“ დოზებიც მოჰყვება ალკოჰოლის იმ დამღუპველი თვისების გამო, რასაც მიჩვევა ჰქვია.

ალკოჰოლისაგან გამოწვეული როგორც მწვავე მოწამვლა, ისე ალკოჰოლიანი სასმელების ხანგრძლივი, გადაჭარბებული მიღება მრავალგვარ დაავადებას იწვევს. აღამიანის ორგანიზმ-



ში არ არის არც ერთი ორგანო, რომელიც ალკოჰოლუსტების
არ ზიანდებოდეს.

ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ძირითადი პათოლოგიუ-
რი ცვლილებები განხილულია ამ მიზნით შედგენილ სპეცია-
ლურ თავში; დათრობა, როგორც ნერვული სისტემის მწვავე
მოშხამვა, ჩვენ უკვე დავახასიათეთ. აქ მოკლედ უნდა ვიღა-
პარაკოთ ალკოჰოლური წარმოშობის ნერვული სისტემის და-
ავადებებზე.

ალკოჰოლური მოწამვლა ყველაზე უფრო ძლიერ დაზი-
ანებას ნერვულ სისტემაში იწვევს. ის თრი ძირითადი სახით
გამომულავნდება: ნერვული სისტემის ფუნქციონალური აშლი-
ლობა, როდესაც შესამჩნევ, მკვეთრ პათოლოგიურ-ანატო-
მიურ ცვლილებებს არა აქვს ადგილი, და ნერვული სისტემის
ორგანული დაზიანება მყარი მორფოლოგიური ცვლილებებით
ჩანარის და პერიფერიულ ნერვულ სისტემაში. ამ თრი
სახის დაავადების ერთმანეთისაგან ზუსტი გამიჯვნა პრაქტი-
კულად შეუძლებელია. ჩვეულებრივ, ეგრეთ წოდებული ფუნ-
ქციური მოშლილობების დროს ყოველთვის არის მეტად თუ
ნაკლებად გამოხატული ორგანული ხასიათის მოვლენები ანუ,
უკეთ რომ ვთქვათ, ფუნქციური მოვლენები ორგანული ცვლი-
ლებების საფუძვლის გარეშე ვერ განვითარდება, ხოლო ორგა-
ნული დაზიანების დროს ვხვდებით მთელ რიგ ფუნქციურ
მოვლენებს. ნერვული სისტემის ფუნქციური და ორგანული
დაავადებანი პირობითი ტერმინებია იმის გამოსახატავად, თუ
რომელი ხასიათის მოვლენები ჭარბობს კლინიკურ სურათში;
პრაქტიკულად კი ვხვდებით ფუნქციური და ორგანული დაავა-
დების ერთდროულად არსებობის სხვადასხვა სახით გამოვლი-
ნებას:

ასე უნდა იქნას გაგებული ფუნქციური და ორგანული და-
ავადებების არსი.

ალკოჰოლური სასმელების დიდი რაოდენობით სისტემა-
ტურად გამოყენება ნევრასთენის განვითარებას უწყობს
ხელს.

სპირტიანი სასმელების სისტემატურმა მიღებამ შეიძლება
გამოიწვიოს ეპილეფსია (ბნედა). ალკოჰოლური წარმოშობის
უპილეფსისათვის დამახასიათებელია გულყრითი შეტევების



შეწყვეტა ალკოჰოლის აკრძალვის შემდეგ. ოპენჰეიმი და
ლეფსიით შეპყრობილთა შორის ოცდაათ პროცენტს ჯაჭვობის
ჰოლიკებს ასახელებდა.

დადგენილია, რომ ეპილეფსიური კრუნჩევითი გულყრის
განვითარებაში მოწამვლა აუცილებელი ფაქტორია. ამიტომ
ეპილეფსიით შეპყრობილს სრულიად უნდა აღეკვეთოს სპირ-
ტის შემცველი სასმელების მიღება.

ჩვენ მრავალი შემთხვევა გვქონდა, როდესაც სათანადო
მკურნალობის ჩატარებით, ალკოჰოლიანი სასმელების აკრძა-
ლვის პირობებში, მივაღწიეთ ეპილეფსიანი ავადმყოფების
განკურნებას.

ალკოჰოლიკს აქვს ხელის თითების, ქუთუთოების, ტუჩე-
ბის, ენის და მთელი სხეულის დამახასიათებელი კანკალი —
თრთოლვა. ეს მოვლენები განსაკუთრებით გამოხატულია დი-
ლიაბით, როდესაც სისხლში ალკოჰოლი არ მოიპოვება. კან-
კალი კლებულობს სპირტიანი სასმელის მიღებიდან რამდენიმე
წუთის შემდეგ.

ლოთი აფორიაქებულია, მოუსვენარია, მას ყოველთვის
რაღაც აწუხებს, მისტრაფვის სმისაკენ. მისთვის დამახასია-
თებელია ტყუილის ოქმა, მომხდარი ფაქტების გაზვიადებული
თხრობა, წარსულის და აწყვის ფანტასტიკური, განდიდებუ-
ლი, სასიამოვნო განცდებთან დაკავშირებული წარმოდგენა.

სისტემატურ დათრობას მიჩვეული ადამიანი ყველაფერს
დათმობს ღვინისა და არაყისათვის, ეკარგება პასუხისმგებ-
ლობის გრძნობა, იოლად გაფლანგავს სახელმწიფო ქონებას,
ოჯახიდან გაიტანს და გაჰყიდის ნივთებს და სხვ. ლოთი სამ-
სახურში დიღხანს ვერ ჩერდება, მატერიალური გაჭირვების
გამო მუდმივ ოჯახურ უსიამოვნებას განიცდის. ყველაფერი ეს
თავდაუჭერლობის, ალკოჰოლისადმი დაუძლეველი მისტრა-
ფების შედეგია, რასაც ხელს უწყობს ალკოჰოლური მოწამვ-
ლისაგან გამოწვეული შეკავებითი პროცესებისა და საერთო
ინტელექტუალური პროცესების დაკნინება.

ალკოჰოლური წარმოშობის ნერვული სისტემის ორგანუ-
ლი დაავადებებიდან აღსანიშნავია ალკოჰოლური ნერვების
მრავლობითი ანთება, ტვინის ლეროს ზედა ნაწილის რუხი ნივ-



თიერების ანთება, რასაც თან ერთვის ზურგის ტვინის ანთება და მაგარი გარსის შიგნითა ზედაპირზე სისხლის ჩაქცევის შე-დეგად განვითარებული ტვინის მაგარი გარსის ანთება.

ალკოჰოლური მოწამვლა აზიანებს სისხლის ძარღვებს. რის გამოც მას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მოშლის განვითარებაში.

გარდა ამისა, ვ. მ. ბექტერევმა პირველად (1900) აღწერა ალკოჰოლური წარმოშობის ნათემის მწვავე კოორდინაციულ მოძრაობათა მოშლა (ატაქსია).

ნათემის მწვავე ატაქსია ცალკე კლინიკურ ფორმად არის გამოყოფილი და მდგომარეობს ნათემის და მისგან გამომდინარე გზების დაზიანებით გამოწვეული მოძრაობის კოორდინაციის მოშლაში. მწვავე ატაქსიის გამოწვევა შეუძლია სხვადასხვა ინფექციებს (ტიფები, მალარია, ფილტვების ანთება) და მოწამვლებს, მათ შორის ალკოჰოლურ მოწამვლასაც.

რ. ლ. ფისტელმა 1937 წელს აღწერა აგრეთვე ნათემის ატაქსიის მოვლენები ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს. ავტორის აზრით, ქრონიკული ლოთობის დროს ნათემის ატაქსიის ნიშნები უფრო ადრე გამომულავნდება, ვიდრე ტვინის დაზიანების სხვა ლოკალური სიმპტომები. აღსანიშნავია, რომ ნათემის ფუნქციების გამოვარდნის ნიშნები უფრო კარგად მუდავნდება ავადმყოფის მწოლიარე მდგომარეობაში გამორჩევისას.

ა. ზ. ფეიზულაევმა და ი. ა. სუხოვმა 1955 წელს გამოაქვეყნეს ნაშრომი ალკოჰოლური წარმოშობის ნათემის მწვავე ატაქსიის კლინიკასა და პათოლოგიურ-ჰისტოლოგიურ ცვლილებებზე. ავტორები ემყარებიან სამი შემთხვევის ანალიზს. ერთი შემთხვევა სიკვდილით დამთავრდა. მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა ნახული თავის ტვინის ქერქში, ტვინის ოეროსა და ნათემში. ავტორების დასკვნით, ალკოჰოლური მოწამვლის დროს თავის ტვინში დიფუზური ცვლილებების ფონზე ყველაზე მეტად არის დაზიანებული თავის ტვინის ქერქი და ნათემი.

ა. ზ. ფეიზულაევის და ა. ი. სუხოვის ნაშრომი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მათ წარმოადგინეს ალკოჰოლური მო-



წამვლისაგან გამოწვეული პათოლოგიურ-ანატომიური ცენტრის დაცვები, სადაც კლინიკურად ყველაზე ძლიერ ნათხემის შრვა-
ვე ატაქსია იყო გამოხატული.

საყურადღებო ექსპერიმენტული ხასიათის შრომა აქვს ჩა-
ტარებული შ. გამყრელიძეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის
დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის
სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში აკადემიკოს ა. ზურაბშვი-
ლის ხელმძღვანელობით. ავტორის მონაცემებით, ექსპერიმენ-
ტულად მწვავე ალკოჰოლური მოწამვლა იწვევს ცენტრალუ-
რი ნერვული სისტემის მთავარი წარმონაქმნების მძიმე გადა-
გვარებით ცვლილებებს ტვინის მთავარი (განგლიური) უჯრე-
დების გაფულებისა და უფრო მსხვილი პირამიდული უჯრე-
დების შეკუმშვის სახით.

ალკოჰოლური მოწამვლის დროს ცხოველის ცენტრალურ
ნერვულ სისტემაში პათოსტრუქტურული ძვრები უფრო
ძლიერ არის გამოხატული დიდი ჰემისფეროს ქერქში და ნა-
თხემში, ვიდრე მოგრძო ტვინსა და ზურგის ტვინში.

მწვავე ალკოჰოლური მოწამვლის დროს ცვლილებები
ცენტრალურ. ნერვულ სისტემაში ნაირსახოვანია — მსუბუქი
შექცევადი სტრუქტურული ძვრებიდან მძიმე შეუქცევად
დესტრუქციულ მოშლილობამდე. ამასთანავე მორფოლოგიუ-
რი ცვლილებები მოწამვლისთანავე გაცილებით უფრო მკვეთ-
რია, ვიდრე რამდენიმე დღის შემდეგ.

სპირტის ან არაყის შეყვანა ცხოველის ვენაში უფრო შე-
სამჩნევ ცვლილებებს იწვევს, ვიდრე ყურძნის ღვინის შეყვანა.

შ. გამყრელიძის დასკვნით, მწვავე ალკოჰოლური მოწამ-
ვლისაგან ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ექსპერიმენტუ-
ლად გამოწვეული მორფოლოგიური ცვლილებები გაპირობე-
ბულია როგორც ჰემოდინამიკური მოშლილობებით, ისე ალ-
კოჰოლური ნივთიერებების პარენქიმულ ნერვულ ქსოვილზე
უშუალო ზემოქმედებით.

ყველაზე მეტად ცნობილია პერიფერიული ნერვების ალ-
კოჰოლური მოწამვლით გამოწვეული დაზიანება, ეგრეთ წოდე-
ბული ალკოჰოლური პოლინევრიტი, რაც ალკოჰოლის გო-



როტად გამოყენებით გამოწვეულ დაავადებათა მხოლოდ პროცენტს შეადგენს.

დაავადების ჩამოყალიბებამდე ავადმყოფს კიდურების პერიფერიულ სეგმენტებში უგითარდება უსიამოვნო შეგრძნებები, ტკივილები, კუჭ-ნაწლავის აშლილობა. ამის შემდეგ იწყება სისუსტე ოთხივე კიდურში, განსაკუთრებით ფეხებში, რაც დამბლაში გადადის. დადამბლავებული კიდურების კუნთები ატროფიას (განლევას) განიცდის; კუნთები მოცულობით კლებულობს, ძვალთაშუა სივრცეები ჩავარდნილია.

მოძრაობის მოშლის განვითარებასთან ერთად თავს იჩენს მგრძნობელობის მოშლა — ტკივილების გაძლიერების ან მგრძნობელობის მოსპობის სახით. უფრო ხშირია ღრმა მგრძნობელობის (სეგმენტების მდებარეობის გამოცნობა თვალდახუჭულ მდგომარეობაში) მოშლა პერიფერიული ნერვული ღეროების ტკივილებით.

ღრმა მგრძნობელობის მოშლის გამო, მხედველობის კონტროლის გარეშე, ავადმყოფს მოშლილი აქვს კოორდინირებული მოძრაობის უნარი და სხეულის წონასწორობა.

ალკოჰოლურ პოლინევრიტს ხშირად დაერთვის ფსიქიკური აშლილობა, რაც პირველად აღწერილი იყო გამოჩენილი რუსი ფსიქიატრის, რუსული ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ს. ს. კორსაკოვის მიერ და ის კორსაკოვის ფსიქოზის სახელითაა ცნობილი.

ს. ს. კორსაკოვის საღოქტოორო დისერტაციაში (1887) აღწერილია პოლინევრიტული ფსიქოზი, რომელსაც მეთორმეტე საერთაშორისო სამედიცინო კონგრესში 1897 წელს „კორსაკოვის ფსიქოზი“ უწოდა.

კორსაკოვის ფსიქოზი გამოიხატება უახლოეს წარსულში მომხდარი ფაქტების დავიწყებაში, ორიენტაციის უნარის დაკარგვასა და კონფაბულაციაში.

ავადმყოფს ახლის დამახსოვრების უნარი დაკარგული აქვს. ავიწყდება ყოველდღიური ამბები, ხოლო შორეული, რამდენიმე წლის წინ მომხდარი ისტორიული ფაქტები და პირადი თავგადასავალი ნათლად აქვს წარმოდგენილი.

კორსაკოვის ფსიქოზის დროს დეზორიენტაცია ეხება
3. ა. მინდაქე



დროს, სივრცეს და პიროვნებას: ავადმყოფი ვერ ერქვეგთ, რომ მელი წელია, თვე ან რიცხვი, არ იცის, რომელ ქალაქშია ამ სოფელში, სახლშია თუ საავადმყოფოში, რომელ ქუჩაზე ცხოვრობს, ვერ აგნებს თავის საცხოვრებელ ადგილს, ვერ ცნობს ნაცნობ აღამიანებს და სხვ.

„კონფაბულაცია“ წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან „კონფაბულო“, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს — „ვყბედობ“. როდესაც ვლაპარაკობთ, რომ ავადმყოფს აქვს კონფაბულაცია, ეს იმას ნიშნავს, რომ ის წარსულს ყალბად, ფანტასტიკური შინაარსით იგონებს. კონფაბულაცია აზროვნების და მეხსიერების მოშლის შედეგია. კორსაკოვის ფსიქოზის დროს კი, ორივე ეს პროცესი როგორც აზროვნება, ისე მეხსიერება შესაძნევად არის დაქვეითებული და ვითარდება თავისებური ჭკუასუსტობა.

ალკოჰოლური პოლინევრიტი თანდათან ვითარდება რამდენიმე კვირა და თვე, შემდეგ პროცესი ჩერდება და უკუგანვითარებას განიცდის რამდენიმე თვის ან 1-2 წლის განმავლობაში იმ აუცილებელი პირობით, თუ ალკოჰოლის მიღება სრულიად შეწყდება. ავადმყოფი იღუპება იმ შემთხვევაში, თუ პროცესი შეეხო ცოდნილი ნერვის გულის ტოტებს და დიაფრაგმის ნერვებს. მოწამვლითი პროცესის გამო თავის ტვინში მომხდარი მყარი დესტრუქციული ცვლილებების აღდგენა შეუძლებელია.

ალკოჰოლს უდიდესი გავლენა აქვს ფსიქიკური დაავადების განვითარებაში. ალკოჰოლის მცირე რაოდენობაც კი მნიშვნელოვნად აქვეითებს გონებრივი მუშაობის უნარს, ხოლო შრომის უნარის გაძლიერება მოჩვენებითია სუბიექტური აწეული გუნებგანწყობის გამო.

როგორც აღვნიშნეთ, სიმოვრალე ალკოჰოლიანი სასმელებით გამოწვეულ მწვავე მოწამვლას წარმოადგენს და არსებითად მწვავე ფსიქიკურ აშლილობაში გამოიხატება. ზოგჯერ დათრობა ისეთ ავადმყოფურ ხასიათს ატარებს, რომ ლაპარაკობენ პათოლოგიურ დათრობაზე.

ჩვეულებრივი დათრობის გამოვლინება თითქმის ყველა-სათვის ცნობილია, რაც ზოგადად ზემოთ იყო დახასიათებული, ხოლო პათოლოგიურ დათრობას განსაკუთრებული მნიშვნე-



ლობა აქვს ოოგორც კლინიკაში, ისე სასამართლო მედიცინის უნივერსიტეტის პრაქტიკაში.

პათოლოგიური დათრობა ვითარდება ალკოჰოლიანი სას-მელების დიდი რაოდენობით მიღებისას; განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როდესაც ნერვული სისტემა არასრულლირებულოვანია დაავადების (ფსიქოპათია, ჭკუასუსტობა, ეპილეფ-სია, არტერიოსკლეროზი, ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ნერვული სისტემის ტრავმული დაავადებანი და სხვ.) ან ორგანიზმის დამაუძლურებელი ფაქტორების გამო (ინფექციური ავადმყოფობა, მძლავრი ფსიქიური განცდა, შიმშილი, ძლიერი დაღლა და სხვ.).

პათოლოგიურ დათრობას ახასიათებს ცნობიერების მოშ-ლა, ორიენტაციის უნარის დაკარგვა, მოჩვენებები და ჰალუ-ცინაციები. პათოლოგიური დათრობის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აგზნებულია, გარბის, ამტვრევს ყველაფერს, გაშმაგებულია და თავს ესხმის ყველას, იჩენს აგრესიულობას, შეუძლია ჩაიდინოს რაიმე ბოროტმოქმედება. ზოგჯერ ადამიანს იპყრობს შიში და სევდა, აქვს ბოდვითი იდეები და ცდილობს თვითმკვლელობას.

პათოლოგიური დათრობა რამდენიმე საათს გრძელდება, შემდეგ ვითარდება ძილი. გამოღვიძებისას დავიწყებული აქვს ყველაფერი. რაც მან ჩაიდინა. პათოლოგიური დათრობის დროს ჩადენილი მოქმედების გახსენების უნარის დაკარგვას ამნეზიას უწოდებენ. ამნეზია პირდაპირი მნიშვნელობით და-ვიწყებას ნიშნავს. ამნეზია შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

პათოლოგიური დათრობა თითქმის ყოველთვის მთავრდება რაიმე მეტად უსიამოვნო შედეგით ან უბედური შემ-თხვევით.

ზემოთქმულიდან თავისთავად ცხადია, რომ იმ პირებს, რომელთაც ნერვული სისტემა ნაკლოვანი ან დაუძლურებული აქვთ, სავსებით უნდა აეკრძალოთ ალკოჰოლიანი სასმელების მიღება.

სასამართლო მედიცინაში დიდი მნიშვნელობა აქვს პათო-ლოგიური დათრობის დაღვენას, რადგან ჩვეულებრივ სიმთვ-



რაღები ჩადენილი ბოროტმოქმედება განიხილება საერთო ფრენის
სით და პიროვნება პასუხისმგებელია ჩადენილი დანაშაული-
სათვის. პათოლოგიური დათრობის პირობებში ჩადენილი და-
ნაშაული კი ათავისუფლებს პიროვნებას პასუხისმგებლობისა-
გან. აქედან, ცხადია, ფსიქიატრიული ექსპერტიზის სირთულე
და დიდი პასუხისმგებლობა.

აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივი დათრობის დროს მოძრა-
ობის მოშლა შედარებით თვალსაჩინოა, ფსიქიკური ფუნქცი-
ები კი უფრო შენახულია, ხოლო პათოლოგიური დათრობის
დროს ადამიანს მოძრაობა, სიარული, ცალკეული ნებისმიერი
აქტების შესრულება უკეთ შეუძლია, ხოლო ფსიქიკუ-
რი ფუნქციები მეტად არის დაჭვეითებული.

ა. ნ. ბუნეევის აზრით, პათოლოგიური დათრობა შედარე-
ბით იშვიათია. მისი დიაგნოსტიკა, თავისი სირთულის გამო,
აუცილებლად მოითხოვს გამოძიების მასალების ღრმა შესწავ-
ლას.

ალკოჰოლით ქრონიკული მოწამვლა, კორსაკოვის ფსიქო-
ზის გარდა, იწვევს მთელ რიგ ფსიქიკურ აშლილობას, როგო-
რიცაა ქრონიკული ალკოჰოლიზმი, ეჭვიანობის ნიადაგზე ბოდ-
ვა, თეთრი ცხელება, ალკოჰოლური ჰალუცინაციური შეშლი-
ლობა, გახანგრძლივებული ალკოჰოლური ბოდვა და გაბმით
ლოთობა.

ალკოჰოლური წარმოშობის ფსიქიკური აშლილობები წარ-
მოდგენილია „დიდ სამედიცინო ენციკლოპედიაში“ და სახელ-
მძღვანელობებში იქ მოცემული განმარტებისა და აღწერილო-
ბის მიხედვით.

ქრონიკული ალკოჰოლიზმი ეწოდება ისეთ ავადმყოფურ
მდგომარეობას, როდესაც ადამიანი წლების განმავლობაში
სისტემატურად ღებულობს ალკოჰოლიან სასმელებს და რო-
დესაც ორგანიზმში მუდმივად მოიპოვება შეწოვილი ალკოჰო-
ლის ესა თუ ის რაოდენობა. როგორც კი შემცირდება სისხ-
ლში ალკოჰოლის რაოდენობა, მაშინ ალკოჰოლიკი ცდილობს,
და ყოველგვარი საშუალების გამოყენებით აღწევს კიდევ,
სპირტიანი სასმელების ახალი დოზით მიღებას. ამასთანავე, ის
მალიან ხშირად მშიერ მდგომარეობაში სვამს, რადგან ცარიე-



ლი კუჭ-ნაწლავებიდან ალკოჰოლი აღვილად და სწრაფად უშორცავა
ვება და მაღე ამჟღაპნებს თავის გამაბრუებელ გავლენას. ვე
დროს მოვრალ ალკოჰოლიკს აქვს სასიამოვნო განცდები და
„დამატებობელი“ სუბიექტური შეგრძნებები.

საერთოდ, ალკოჰოლიკი მცირე საკვებს ღებულობს, ვიდრე
ეს საჭიროა ორგანიზმისათვის და უმთავრესად ალკოჰოლის
მკვებავი გავლენით ცოცხლობს. ეს კი იწვევს ნივთიერებათა
ცვლის მოშლას, უჯრედების, ქსოვილების და ორგანოების გა-
დაგვარებას, უპირატესად ცხიმოვანი გადაგვარების სახით. ალ-
კოჰოლიკის შეშუპებული, უაზრო გამომეტყველება კახექსი-
ის შედეგია.

ფხიზელი ალკოჰოლიკი მთელი სხეულით თრთის, ხელები
უკანკალებს. მოუსცენარია. მიიღებს თუ არა მაგარი სასმელის
გარჩეულ დოზას, რამდენიმე წუთის შემდეგ, რაც საჭიროა
შეწოვის პროცესისათვის, რამდენადმე დამშვიდდება და აღარ
კანკალებს.

ფსიქიკური სფერო ქრონიკული ალკოჰოლიზმის დროს ნა-
ირსახოვანია ალკოჰოლური მოწამვლის, ნერვული სისტემის
თავისებურებისა და ორგანიზმის გამძლეობის შესაბამისად.
ალკოჰოლიკის პიროვნება იმდენად შეცვლილია, რომ ლაპა-
რაკობენ ალკოჰოლურ გადაგვარებაზე.

დაკინინებულია ზნეობრივი გრძნობები, მაღალი აღამიანური
გრძნობები და მისწრაფებები. შეინიშნება სიტლანქე, გაღიზია-
ნებულობა, ეგოიზმი, ეჭვიანობა, ქარაფშუტული დამოკიდებუ-
ლება გარემო მოვლენების, საკუთარი პიროვნებისა და მის
ირგვლივ მყოფი პირებისადმი. ფრიად დამახასიათებელია თა-
ვისებური იუმორი, რაც თავისი შინაარსით დამცინავი, და-
მამცირებელი, გამკილავი, უცნაური და ზოგჯერ ძნელად გასა-
გებია, რადგან გამოხატავს სხვებისათვის უცნობ, მის პირად
შთაბეჭდილებას. ეს იუმორი ერთი და იგივეს გაუთავებელი
განმეორებაა. ალკოჰოლიკის იუმორი თავისებური მომაბეზრე-
ბელი ენამახვილობით ხსიათდება.

ინტელექტუალური ცვლილებები დათრობათა შუა ფაზაში
ძირითადად ისეთივეა, როგორიც ალკოჰოლით მწვავე მოწამვ-
ლის დროს, მაგრამ ეს ცვლილებები უფრო თვალსაჩინოა და



მყარი: გამნელებულია შთაბეჭდილებების აღქმა, დაქვემდებრების დამახსოვრების უნარი; აზრის განვითარება შენელებული და ზერელეა; ხშირად იმეორებს ერთსა და იმავეს; სწრაფად და ადვილად იღლება.

ალკოჰოლიკს მეტად სუსტი ნებისყოფა აქვს, რაც პირ-ველ ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ არ შესწევს უნარი თავი შეიკავოს ღვინის სმისაგან, შრომის უნარი დაქვეითებული აქვს და შრომას გაურბის.

ქრონიკული ალკოჰოლიზმის მიმდინარეობა, როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ქრონიკულია და ხშირად საბოლოოდ ფსიქიკური ფუნქციების დაქვეითების შედეგად ვითარდება ალკოჰოლური ჭკუასუსტობა.

ქრონიკული ალკოჰოლიკისათვის ზოგჯერ დამახასიათებელია ეჭვიანობით გამოწვეული ბოდვა. ეჭვიანობით გამოწვეული ბოდვა უფრო ხშირია ხანში შესულ ალკოჰოლიკებში. ავადმყოფი, ყოველგვარი რეალური საფუძვლის გარეშე, ეჭვიანობს ცოლის მიმართ, უთვალთვალებს მის ყოველ ნაბიჯს, ჰერტავს ოთახში, სცემს, ლანძლავს და სხვ. ასეთი ეჭვიანობით გამოწვეული ბოდვა ფანტასტიკურ ხასიათს ღებულობს და შესაძლებელია მკვლელობითაც დამთავრდეს.

ეჭვიანობა, რა თქმა უნდა, შეიძლება შეეხოს ოჯახის სხვა წევრს, ამხანაგს ან თანამშრომელს და ამ ეჭვიანობამ შესაბამისი შინაარსი მიიღოს.

ალკოჰოლური წარმოშობის ფსიქოზთა შორის განსაკუთრებული აღგილი უჭირავს ეგრეთწოდებულ თეთრ ცხელებას.

ამ დაავადებას ძველთაგანვე თეთრი ცხელება ეწოდება იმიტომ, რომ ავადმყოფი აგზნებულია, აქვს ჰალუცინაციები, მაღალი ტემპერატურა და არ ახლავს სახის გაწითლება; ჩვეულებრივ კი სახის გაწითლება ყოველთვის ვითარდება სხვა მიზეზებით გამოწვეული სხეულის მაღალი ტემპერატურის დროს.

ალკოჰოლიანი სასმელების ხანგრძლივი დროის მანძილზე ბოროტად გამოყენების შემთხვევაში ვითარდება თეთრი ცხელების საქმაოდ რთული კლინიკური სურათი, რომელიც ხასიათდება რიგი ფსიქიკური და ფიზიკური მოვლენებით.

ავადმყოფობის სურათში ფსიქიკურ აშლილობას წამყვანი უჭირავს.

ოეთრი ცხელებისათვის დამახასიათებელია ავადმყოფობის უცარი დაწყება, უხვი, უპირატესად მხედველობითი ხასიათის ჰალუცინაციები, ცნობიერების აშლა, მოძრაობითი აგზებულება, უძილობა, კანკალი, ოფლიანობა, გაუქედავი სიარული, უხერხული მოძრაობები, მაჯის აჩქარება, სხეულის ტემპერატურის მომატება, სისხლის წნევის აწევა, სისხლის თეთრი ბურთულების რაოდენობის დაქვეითება — ლეიკოპენია და სხვ.

მხედველობითი ჰალუცინაციების გამო ავადმყოფი ხედავს სხვადასხვა მწერებს, ვირთხებს, თაგვებს, კატებს, ძალებს, მხეცებს, შემზარავ ფანტასტიკურ ცხოველებს, ადამიანთა სახეებს, სურათებს და სხვ., რომლებიც განუწყვეტილ მოძრაობაში არიან.

ავადმყოფს აქვს აგრეთვე სმენითი ჰალუცინაციები: ესმის ყვირილი, სტვენა, სროლა, ხმაური, სიტყვები და მთელი წინადაღებები, აგრეთვე ეჩვენება, რომ მას სდევნიან. ჰალუცინაციების გამო ავადმყოფს დაკარგული აქვს ორიენტაციის უნარი, არ იცის, რა დროა, ვინ არის მის გარშემო და სად იმყოფება, მაგრამ შეუძლია თქვას თავისი სახელი, გვარი, პროფესია, ესე იგი თავისი პიროვნების ცნობის უნარი შენარჩუნებული აქვს. ღამით უძლიერდება ჰალუცინაციები, იპყრობს შიში, გარბის, ცდილობს თავის მოკვლას, ზოგჯერ იჩენს აგრესიულობას, მოუსვენარია და სხვ. ხშირად ეცვლება გუნებგანწყობა ჰალუცინაციებისა და ბოდვის შესაბამისად. ზოგჯერ შეშინებულია, ზოგჯერ კი იჩენს სრულ უდარდელობას.

ხშირი ჰალუცინაციებისა და ბოდვების გამო ასეთი ავადმყოფი საშიშია როგორც თავისთვის, ისე ხევებისთვისაც და აუცილებლად საჭიროებს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას.

ავადმყოფობა ჩვეულებრივ გრძელდება 2-5 დღე. ავადმყოფი ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება ძილის შემდეგ. სიკვდილიანობა, სხვადასხვა ავტორების მონაცემებით,



განკურნების შემდეგ ავადმყოფმა ალკოჰოლიანი სასმელენების მიღება თუ არ შეწყვიტა, შესაძლებელია თეთრი ცხელების განმეორება.

თეთრ ცხელებას ყოველთვის ტიპიური მიმღინარეობა აქვს, ზოგჯერ ის ხანმოკლეა და მაღე გაივლის. როგორი სახესწვაობითაც არ უნდა გამომულავნდეს ის, ყოველთვის იქნება გამოხატული ძირითადი კლინიკური ნიშნები სხვადასხვა კომბინაციაში და ამა თუ იმ ხარისხში. ასეთი ნიშნებია: ჰალუცინაციები, ცნობიერების აშლა. კანკალი, მოძრაობითი აგზებულება, სხეულის ტემპერატურის მომატება და რიგი ვეგეტატიური მოვლენები.

საქართველო მევენახეობა-მეღვინეობის ქვეყანაა და მოსახლეობაში ფართოდ სარგებლობენ ღვინით. საინტერესოა, რომ ჩვენში თეთრი ცხელების შემთხვევები შედარებით იშვიათია.

ნ. ვეშაპელმა საქართველოს ექიმთა მეოთხე ყრილობაზე (1926) წაიკითხა მოხსენება საქართველოში თეთრი ცხელების შემთხვევების შესახებ ფსიქიატრიული ინსტიტუტის მასალების მიხედვით.

ავტორმა განიხილა ფსიქიატრიული ინსტიტუტის 1923, 1924, 1925 წლების სტატისტიკური მონაცემები და აღმოჩნდა, რომ ინსტიტუტში სულ შემოვიდა 1022 ავადმყოფი. მათ შორის ალკოჰოლური ფსიქოზით შეპყრობილი იყო 23 ანუ 2,3 პროცენტი, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ალკოჰოლური ფსიქოზი 10-12 პროცენტს შეადგენს. 23 შემთხვევიდან 3 თეთრი ცხელებით იყო შეპყრობილი.

ნ. ვეშაპელის მიერ აღწერილი თეთრი ცხელების სამივე შემთხვევაში ავადმყოფობა განვითარდა ღვინისა და არაყის ერთდროული მიღების პირობებში. ავტორის აზრით, სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში თეთრი ცხელების ნაკლები შემთხვევები უნდა აიხსნას არაყის ნაკლები ხმარებით.

ნ. ვეშაპელის მიერ მოწოდებული ეს დებულება მოითხოვს



შემდგომი მასალებით დამტკიცებას და რამდენადმე სადგური ქვეყნის
სიოა, რადგან მოიპოვება სტატისტიკური მონაცემები ქვეყნის
კული ალკოჰოლიზმისა და ალკოჰოლური ფსიქოზების მნიშვ-
ნელოვანი შემთხვევების შესახებ ლუდისა და ღვინის გამოყე-
ნების დროსაც. ა. მ. რაპოპორტის მონაცემებით, გამორკვე-
ულია. რომ 40 მლ ალკოჰოლის მიღებისას ლუდის, ღვინისა
და კონიაკის სახით სისხლში ალკოჰოლის მაქსიმალური რაო-
დენობა აღწევს პირველ შემთხვევაში 111 წუთის, მეორე შემ-
თხვევაში 120 წუთის და მესამე შემთხვევაში 95 წუთის შემ-
დეგ. მაშასადამე, მნიშვნელობა აქვს მიღებული აბსოლუტური.
ალკოჰოლის საერთო რაოდენობას და არა სპირტიანი სასმე-
ლის კონცენტრაციას.

გ. აბულაშვილის მონაცემებით, საქართველოს ფსიქიატ-
რიული საავადმყოფოების უკანასკნელი 4-5 წლის სტატის-
ტიკური მასალებიდან ირკვევა, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ალ-
კოჰოლიზმი შედარებით იშვიათია. ასე, მაგალითად, ფსიქია-
ტრიულ საავადმყოფოში მოთავსებულ ავადმყოფთა შორის
ალკოჰოლიკები იყო: 1954 წელს 3 პროცენტი, 1956 წელს —
4.4 პროცენტი და 1957 წელს — 3.7 პროცენტი. ესენი უმთავ-
რესად ქრონიკული ალკოჰოლიკები არიან. ფსიქონევროლო-
გიური დისპანსერების მიერ აღრიცხვაზე აყვანილ ავადმყოფთა
შორის ალკოჰოლიკები 5 პროცენტს არ აღემატება.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მოთავსებულ და ფსიქო-
ნევროლოგიურ დისპანსერებში აღრიცხვაზე აყვანილი ალკო-
ჰოლიკების მიხედვით, საქართველოში ალკოჰოლიზმის გავრ-
ცელების ნამდვილი სურათის დადგენა, რა თქმა უნდა, არა-
სრულია. მით უმეტეს, რომ ამ მხრივ ფსიქონევროლოგიური
დისპანსერების მიერ ჩატარებული აღრიცხვა არ მოიცავს
მთელ რესპუბლიკას. ესენი არიან მხოლოდ ისეთი ალკოჰო-
ლიკები, რომელთაც უკვე განუვითარდათ ფსიქიკური მოვ-
ლენები და სამკურნალო დახმარებისათვის მიმართეს დისპან-
სერს.

თეთრ ცხელებასთან ახლოს დგას ალკოჰოლური ჰალუცი-
ნაციური აშლილობა, მაგრამ განსხვავდება მისგან რიგი თავისე-
ბურებებით და ამიტომ განიხილავენ, როგორც ცალკე ავად-
მყოფობას. კიდევ მეტი, ზოგიერთი ავტორი, მათ შორის ი. ვ.



სტრელჩუკი, კლინიკური მიმდინარეობის მიხედვით, ამ ჟურნალის
მყოფობას სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფს.

ალკოჰოლური ჰალუცინაციური აშლილობის დროს ავადმ-
ყოფს ესმის არასასიამოვნო ხმები, შეურაცხყოფის, მუქარის
სიტყვები და წინადაღებები. მას ჰანია, რომ დევნიან, უპირე-
ბენ მოკვლას, ჩამოხრჩობას, დასახიჩრებას, წვალებას, დაპა-
ტიმრებას. და სხვ. თეთრი ცხელებისაგან განსხვავებით, მხედ-
ველობითი ჰალუცინაციები უფრო იშვიათად და იოლად არის
გამოხატული. ბოდვების მიუხედავად, ავადმყოფს ორიენტაცია
შენარჩუნებული აქვს. ავადმყოფი განიცდის შიშის, მისი ქცევა
შეცვლილია ჰალუცინაციებისა და ბოდვების შესაბამისად, რის
გამოც ის საშიშია თავისთვის და ახლომყოფთათვისაც.

საქმაოდ თვალსაჩინო ფსიქიკურ აშლილობას არ ახლავს
შესამჩნევი ფიზიკური მოვლენები. მძიმე შემთხვევებში გა-
მოხატულია მთელი სხეულის, ხელის თითების, ქუთუთოების
თრთოლვა, წონაში დაკლება, უძილობა და ზოგიერთი ვეგე-
ტატიური მოშლილობის ნიშნები. ავადმყოფობა გრძელდება
რამდენიმე დღეს, კვირას ან ორ-სამ თვეს. ავადმყოფი გამო-
ჯანმრთელდება ერთბაშად ან თანდათანობით.

როდესაც ალკოჰოლური ჰალუცინაციური აშლილობა თან-
დათან იწყება და ქრონიკულად მიმდინარეობს ან თეთრი ცხე-
ლება რამდენიმეჯერ განმეორდება, შესაძლოა განვითარდეს გა-
ხანგრძლივებული ალკოჰოლური ბოდვა, რომელიც ხასიათდე-
ბა ერთგვარი შინაარსის არასასიამოვნო სმენითი ჰალუცინა-
ციებით. ავადმყოფს აქვს ნათელი ცნობიერება, ნორმალური
ქცევა და ამასთანავე თანდათან ვითარდება ფსიქიკური ფუნ-
ქციების დაკნინება.

ქრონიკულ ალკოჰოლიკებს დროდადრო უვითარდებათ
ლოთობისადმი დაუძლეველი მისწრაფება და იწყებენ ალკო-
ჰოლიანი სასმელების განუწყვეტელ მიღებას ანუ იმყოფებიან
მუდმივ მთვრალ მდგომარეობაში. ასეთ მდგომარეობას გაბმით
ლოთობა ეწოდება.

გაბმით ლოთობა ქრონიკული ალკოჰოლიზმის ერთ-ერთი
თავისებური გამოვლინებაა. გაბმით ლოთობის დაწყებამდე
ავადმყოფს ეცვლება ხასიათი, ხდება დაღვრემილი, აღვილად



აგზნებადია. უჩივის სისუსტეს, ველარ მუშაობს, ეკარგება მაღა, არ სძინავს. ავადმყოფს ხშირად ეწყება წყურვილის გულებით ხოვნილება, გრძნობს წვას გულის კოვზის არეში. ეს მოვლენები არაყის ან ღვინის განუწყვეტელი სმის შესავალია. ავადმყოფი იწყებს სმას, რასაც ბოლო არ უჩინს. სმისაღმი მიღრეკილება ძლიერი და ღაუძლეველია. ავადმყოფი თუ მსახურობს, სამსახურს თავს ანებებს, ღვინის სარდაფში აღამებს და ათენებს ან ჩაიკეტება ოთახში და სვამს უპირატესად უჭმელი ან ეგრეთ წოდებული „დასაყოლებლით“ კმაყოფილდება. შეტევის პერიოდში ის მუდამ მთვრალია. მცირე ხნით გამოფხიზლების დროს კვლავ უვითარდება სმისაღმი განუწყვეტელი მიღრეკილება.

გაბმით ლოთობის დროს ადამიანის ქცევა, მისი ფსიქიკური ფუნქციები სიმთვრალის ნაირსახოვან. გამოვლინებაში გამოიხატება და აუტანელია ოჯახის წევრებისა და ახლობლებისათვის. აგრესიულობას იჩენს ყველას მიმართ, ვინც წინ აღუდგება მის მტკიცე, მაგრამ დაუსაბუთებელ სურვილს სმისაღმი. დაუსაბუთებელს, რადგან ის სიფხიზლეში არ აძლევს გამართლებას თავის საქციელს; სიმთვრალეში კი ამბობს, „საჭიროა და ვსვამო“.

გაბმით ლოთობა გრძელდება რამდენიმე დღიდან რამდენიმე კვირამდე. მას თითქოს აუცილებელი ციკლი გააჩნია; სანამ თავს არ იჩენს ალკოჰოლური მოწამვლის მძაფრი მოვლენები, ავადმყოფი თავს ვერ ანებებს არაყისა და ღვინის სმას. დაბოლოს ავადმყოფს ეწყება ღებინება, დაღვრემილობა, საერთო სისუსტე, ცუდი ძილი, სხეულის თრთოლვა და ალკოჰოლისაღმი მისწრაფება თანდათან ნელდება და წყდება. ზოგჯერ კი შეტევა მთავრდება თეთრი ცხელებით, რაც ზემოთ იყო აღწერილი.

შეტევათა შუა პერიოდში, რაც რამდენიმე დღე ან თვემდე გრძელდება, არაყისა და ღვინისაღმი მიღრეკილება ქრება, ან უფრო მეტიც — ავადმყოფს უვითარდება სიძულვილი ალკოჰოლიანი სასმელებისაღმი.

ქრონიკული ალკოჰოლიზმის ისეთი გამოვლინება, როგორიც გაბმით ლოთობაა, შეუძლებელს ხდის ადამიანის დატოვებას სამსახურში. ასეთი პირები ხშირად იძულებით იცვლიან.



სამუშაო აღგილს, ფლანგავენ სახელმწიფო ქონებას, ხუდოებას
საბრალმდებლო სკამზე. მათ შორის ხშირია საცხოვრებელი
აღგილის გამოცვლა, მრავალი ოჯახური უსიამოვნება და
გყრა.

გაბმით ლოთობის დროს მოსალოდნელია დასახიჩრება,
დამტვრევა, ბოროტმოქმედება. ამიტომ გაბმით ლოთობის წი-
ნააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს განსაკუთრებული ღონისძიე-
ბების მიღებას.

ქრონიკული ალკოჰოლიკების მკურნალობის დროს,
ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების შესაბამისად, უნ-
და მივაღწიოთ ალკოჰოლიანი სასმელებისადმი უარყოფითი
პირობითი რეფლექსის გამომუშავებას. ანუ სიძულვილს ალ-
კოჰოლიისადმი.

რატომ ვითარდება ქრონიკული ალკოჰოლიზმი?

ამ კითხვაზე სრული ამომწურავი პასუხის გაცემა ძნელია.

ქრონიკული ალკოჰოლიზმის განვითარებაში უმთავრესი
მნიშვნელობა აქვს გარემო პირობებს, ოჯახს და ამხანაგებს.

ზემოთქმულიდან თავისთავად გასაგებია ალკოჰოლიზმის
ის საწინააღმდეგო ღონისძიებები, რაც უნდა გატარდეს
ოჯახში, სკოლაში, წარმოებაში, მეურნეობაში, ოჯახის
უფროსის, მასწავლებლის, კომკავშირული და პროფკავშირუ-
ლი ორგანიზაციების მიერ.

ალკოჰოლის გავლენა უმაღლეს ნირვულ მოძმედებაზე

ნერვულ სისტემაზე ალკოჰოლის მავნე გავლენა, პირ-
ველ ყოვლისა, უმაღლესი ნერვული მოქმედების აშლით გამო-
იხატება. ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ფიზიოლოგიური
პროცესების მიმდინარეობის შეცვლის გამო მთვრალი პკარ-
გავს მაღალ ადამიანურ თვისებებს და სავსებით გარდაქმნილი
პიროვნების სახით წარმოგვიდგება.

ალკოჰოლის გავლენით იცვლება ადამიანის ქცევა (მოქმე-
დება). მთვრალი ადამიანი მეტად მხიარულია, ბევრს ლაპარა-
კობს. ერთსა და იმავეს იმეორებს. ოხუნჯობს, თამამი ხდება,
მღერის და ცეკვავს. მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა ამის უნა-



რი. მცირე, უმნიშვნელო მიზეზს გამოყავს წონასწორობადან უფლებულია აქვს მიღრეკილება კონფლიქტისაღმი. მთვრალ აღამიანს ყველაფერი იოლად მიაჩნია, იპყრობს განდიდებისა და ყოვლის-შემძლეობის მანია, ეკარგება სიფრთხილისა და შიშის გრძნობა, ავიწყდება ზრდილობის ელემენტარული ჩვევები. მთვრალ კაცს „ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად“. მთვრალი კაცი კიდევ მეტს და გაბედულად სვამს ალკოჰოლიან სასმელებს, სანამ ფიზიკურად არ მოღუნდება.

ძირითადად ასეთია ალკოჰოლიანი სასმელების გავლენა. მაგრამ, პიროვნების ნერვული სისტემის თავისებურებების მიხედვით მას სხვაგვარი მოქმედების გამომყლავნებაც შეუძლია. ზოგი ენამეტყველი — მდუმარე გახდება, მხიარული განწყობილება — ცრემლით ეცვლება, უწყინარი კაცი მოჩხუბარი ხდება და სხვ.

მთვრალის ქცევა სხვადასხვა ხარისხით და ფორმით არის შეცვლილი მიღებული ალკოჰოლიანი სასმელის რაოდენობისა, ორგანიზმის გამძლეობისა და ნერვული სისტემის მდგომარეობის შესაბამისად.

ერთი შეხედვით, მთვრალი აღამიანის ქცევა ყველასათვის ცნობილია. მაგრამ ისმება კითხვა, აღამიანის ქცევა და მისი ცვლილება ალკოჰოლის გავლენით არის თუ არა მეცნიერულად შესწავლილი?

ეს საკითხი იყო და დღესაც არის მეცნიერული კვლევის საგანი.

თითქმის ყველა ავტორი, ვინც კი მუშაობდა ალკოჰოლიზმის პრობლემაზე, მეტად თუ ნაკლებად ეხებოდა აღამიანის ქცევის შეცვლას. მაგრამ აღამიანის ქცევის ნამდვილი მეცნიერული, ობიექტური შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც დიდი რუსი მეცნიერის ი. პ. პავლოვის მიერ დადგენილი იქნა ცხოველის თავის ტვინის ქერქში ორი ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესის — აგზნებისა და შეკავების არსებობა. აგზნება და შეკავება ცოცხალი ნერვული უჯრედის მოქმედების ძირითადი დამახსიათებელი თვისებაა. ი. პ. პავლოვის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან თავის ტვინის ქერქში მიმდინარე აგზნების და შეკავების პროცესები შეის-



წავლა ორგანიზმის და გარემოს განუწყვეტილი ურთიერთობის ბის პირობებში. თვით აგზნებისა და შეკავების პროცესები მჭიდრო მიზეზობრივ ურთიერთობაში იმყოფებინ. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული პროცესები დამოკიდებლად კი არ წარმოებს. არამედ ერთმანეთისაგან დამოკიდებული არიან და ერთმანეთს განაპირობებენ.

თავის ტვინის ქერქში მიმღინარე პროცესები ი. პ. პავლოვმა შეისწავლა ობიექტური მეთოდით — პირობითი რეფლექსების საშუალებით. ამ მეთოდით მიღებული მონაცემებით ი. პ. პავლოვს საშუალება მიეცა შეექმნა მოძღვრება უმაღლესი ნერვული მოქმედების შესახებ.

თავის ტვინის დიდი ჰემისფერობის ქერქში აგზნებისა და შეკავების პროცესების დინამიკის შესწავლა შეადგენს ურთულეს ანალიზურ-სინთეზურ მოქმედებას, რასაც უმაღლესი ნერვული მოქმედება ეწოდება.

ცნობილია, რომ სხვადასხვა ისტორიულ მონაცემთში ცოცხალი ორგანიზმისათვის დამახასიათებელი ამა თუ იმ მოვლენის გავება წარმოებდა ანალიზური მეთოდით, როდესაც მთავარი ყურადღება ექცეოდა მოვლენის მხოლოდ შემადგენელ ელემენტებს. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ არსებობდა ისეთი მიმართულება, რომელიც ამა თუ იმ მოვლენის განხილვის დროს ძირითად ყურადღებას აქცევდა სინთეზს — ერთიანობას მოვლენაში და უყურადღებოდ ტოვებდა თვით მოვლენის შემადგენელ ელემენტებს. ი. პ. პავლოვის ფიზიოლოგიური მოძღვრების დადებითი მხარე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის მოვლენის განხილვის დროს აწარმოებს როგორც ანალიზს, ისე სინთეზს მათ განუყრელ ერთიანობაში.

ალკოჰოლიანი სასმელები მძლავრ გავლენას ახდენს უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე, როგორც ალკოჰოლის ორგანიზმიდან გამოყოფამდე თავის ტვინის ქერქზე უშუალო მწვავე მოქმედების პერიოდში, ისე მოგვიანებით პერიოდში მისი ხანგრძლივი მიღებისას ქრონიკული მოშხამვის ნარჩენი მოვლენების სახით.

ი. პ. პავლოვი თვლიდა, რომ ალკოჰოლი ადამიანისათვის წარმოადგენს შხამს და ამასთან დაკავშირებით მისი მავნე გავ-



ლენის სრული შესწავლისათვის აუცილებლად მიიჩნევდა კავკაზიური მხოლოდ დავურდნობით უკვე ცნობილ ფარმაკოლოგიურ მონაცემებს, არამედ გამოგვერქვია, თუ რა გავლენა აქვს ალ-კოპოლს ცენტრალური ნერვული სისტემის უჯრედებზე. ამის დასაღვენად მას საჭიროდ მიაჩნდა ალკოპოლის როგორც დიდი, ისე მცირე დოზების გავლენის შესწავლა ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

ალკოპოლიანი სასმელებისაგან გამოწვეული სუბიექტური შეგრძნების პირადი განცდის მიზნით, ი. პ. პავლოვმა გადაწყვიტა დაკვირვება თავის თავზე მოეხდინა. ამ განზრახვით მან დალია ერთი ბოთლი რომი, დაჯდა სარკესთან და დაუკვირდა თავის თავს. რა თქმა უნდა, ეს არ შეიძლებოდა ყოფილიყო ალკოპოლის გავლენის ობიექტური შესწავლის მეთოდი, მაგრამ ამ შემთხვევამ მკვლევარს შეუქმნა მოსალოდნელი დიდი უარყოფითი შთაბეჭდილება ალკოპოლიანი სასმელების მიმართ. შემდეგში კი ი. პ. პავლოვის ხელმძღვანელობით ალკოპოლის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე გავლენის ობიექტური, გეგმიანი შესწავლა დაიწყო ჯერ პ. მ. ნიკიფოროვსკიმ და შემდეგ მ. კ. პეტროვამ.

ჯერ კიდევ 1912 წელს, ამ დაკვირვებების ჩატარებამდე, ი. პ. პავლოვი მეცნიერებათა აკადემიისადმი გაგზავნილ წერილში აღიარებდა, რომ ალკოპოლის მავნებლობის შესწავლა და მასთან ბრძოლა მეცნიერების ამოცანას წარმოადგენს. ეს მეტად საყურადღებო ფაქტია, რაღაც იმ პერიოდში იყვნენ ისეთი მკვლევარებიც, რომლებიც ამტკიცებდნენ: ალკოპოლი თითქმის უვნებელია, თუ ადამიანი სასმელის სახით მიიღებს 9 პროცენტიანი ალკოპოლის ერთ გრამს სხეულის ერთ კილოგრამ წონაზეო. ეს აზრი არსებითად შეიძლება გამართლებულიყო მხოლოდ კომერციული მიზნებით, რაღაც ამ მოსაზრების მიხედვით საშუალო წონის ადამიანს შეეძლო დღეში მიეღო 1100 კუბური სანტიმეტრი ასეთი ალკოპოლიანი სასმელი, რაც შეადგენს 250 კუბურ სანტიმეტრს ანუ ერთ ჩაის ჭიქაზე მეტ 40 პროცენტიან არაყს. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, დასმული იყო საკითხი სპეციალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ, რომლის ამოცანა უნდა ყო-

ფილიყო ალკოჰოლის მნიშვნელოვანი რაოდენობით  რების წესების გამომუშავება. ასეთი ინსტიტუტის გახსნა ზრდას ხრახული იყო ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის ბაზაზე.

ი. პ. პავლოვი კატეგორიულად უარყოფდა საკითხის ასეთ დაყენებას, რადგან ასეთი ინსტიტუტი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო სამეცნიერო დაწესებულება. „ინსტიტუტი ასეთი ამოცანებით, — წერდა ი. პ. პავლოვი, — ალბათ იქნებოდა თავისებური, მუდმივი რეკლამა სასმელების სახაზინო გაყიდვისათვის, ან, უკეთეს შემთხვევაში, კომერციული ლაბორატორია სასმელების სახაზინო გაყიდვისათვის“.

მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკურ-მათემატიკური განყოფილება, რომელსაც გაეგზავნა ეს წერილი, დაეთანხმა ი. პ. პავლოვს.

საინტერესოა, რომ შემდეგში ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს ვ. მ. ბეხტერევის თანდასწრებით, საჯაროდ უარყვეს ზემოაღნიშნული წერილის შინაარსი ინსტიტუტის ამოცანაზე და, პირიქით, აღიარეს ინსტიტუტის მიზანდასახულობა ალკოჰოლის მავნებლობის შესწავლასა და მასთან ბრძოლის საქმეში.

ამგვარად, სავსებით დამტკიცდა სრული სიმართლე ი. პ. პავლოვისა, რომელმაც აიმაღლა თავისი. ავტორიტეტული ხმა ისეთი ინსტიტუტის ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომლის მიზანიც იქნებოდა ალკოჰოლის უვნებელი გამოყენების მეთოდების ძიება.

შემდეგში ალკოჰოლის მავნე გავლენის შესწავლა წარმოებდა სხვა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებში. ასე, მაგალითთაღ, ი. პ. პავლოვის მოწაფის ნ. ი. კრასნოგორსკის ხელმძღვანელობით ნ. რ. შასტინის მიერ დამუშავებულ იქნა ალკოჰოლის გავლენის საკითხი პირობით რეფლექსებზე. დაკვირვება ჩატარდა ბავშვებზე და დადგენილ იქნა. რომ ალკოჰოლი საბოლოოდ თანდათან ავითარებს შეკავებით პროცესს:

ი. ვ. სტრელჩუკმა შეისწავლა ლოთების უმაღლესი ნერვული მოქმედება. მიღებული მონაცემების საფუძველზე ავტორმა დაადგინა თავის ტვინის ქერქის უჯრედების ფუნქცი-

ური უნარის დაქვეითება და აქტიური შეკავების შემაუსაფლავი სახლი იმპრეზა

ტება.

ქრონიკული ალკოჰოლიკების უმაღლესი ნერვული მოქმედების შესწავლით ჩ. დ. სმირნოვმა დააღინა აგზნების პროცესების შეჩერების დაქვეითება. პირობითი რეფლექსის გამომუშავება წარმოებდა მოძრაობითი სიტყვიერი მეთოდიკით და აღმოჩნდა, რომ მრავალ საცდელ პირს დროებით პირობითი კავშირები გამოუმუშავდათ მხოლოდ სიტყვის თხუთმეტჯერ განმეორების შემდეგ, ხოლო ზოგიერთ საცდელ პირს კი დასჭირდა წინასწარი ინსტრუქციის ჩატარება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრონიკულ ალკოჰოლიკებს ძლიერ დაქვეითებული აქვთ გაგების უნარი, მათი ფსიქიკური ფუნქციების დაკნინების გამო. აქვე უნდა მივუთითოთ. რომ ჯერ კიდევ 1933 წელს ი. პ. პავლოვი ალკოჰოლური წარმოშობის ფსიქიკური აშლილობის შემთხვევის განხილვის შესაბამისად ასკვნიდა შემდეგს: ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების გავლენით თავის ტვინის ქერქის უჯრედებში ვითარდება. სხვადასხვა ხარისხის ვადმყოფური მდგომარეობა: ზოგჯერ ჰალუცინაციებამდე, ზოგჯერ შეჩერების ხარისხამდე, რაც ხელს უწყობს ბოდვის განვითარებას, შესაძლოა ჰალუცინაციების გარეშეც.

მ. კ. პეტროვას და ვ. კ. ფეოდოროვის მიერ ცხოველებზე ჩატარებული ცდების საფუძველზე, ი. პ. პავლოვი აღნიშნავდა, რომ ალკოჰოლის გავლენით ადგილი ჰქონდა პირობითი რეფლექსური მოქმედების აშლას.

ცხოველებზე ჩატარებული ცდების შედეგების საფუძველზე, ი. პ. პავლოვის განსაზღვრით, ძილისმომგვრელი და ნარკოზული საშუალებანი, როგორიც არის ალკოჰოლი, პირველ ყოვლისა მოქმედებს შეკავების პროცესზე, ხოლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდი დოზები კი — იპყრობს აგზნების პროცესსაც.

მაშასადამე. ალკოჰოლის მცირე დოზები ადამბლავებს შეკავების პროცესს, ხოლო დიდი დოზების უფრო ხანგრძლივი მოქმედება კი აღამბლავებს როგორც შეკავების, ისე აგზნების პროცესებსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ ალკოჰოლი არღვევს თავის ტვინის ქერქში მიმდინარე ძირითად ფიზიოლოგიურ



პროცესებს და, ამგვარად, ის წარმოადგენს შხამს ცენტრული რი ნერვული სისტემისათვის.

ი. პ. პავლოვი მისი ლაბორატორიის თანამშრომლებთან ალკოჰოლის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე გავლენის შესწავლის საჭიროებაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ ალკოჰოლი „გაცილებით მეტ მწუხარებას აყენებს მთელ კაცობრიობას, ვიდრე სიხარულს, თუმცა მას გამოიყენებენ სიხარულის მომგვრელად. რამდენი ტალანტი და ძლიერი აღამიანი დაიღუპა და იღუპება ახლა ამისაგან“.

ი. პ. პავლოვი თავის ამოცანებს არ შემოსაზღვრავდა ლაბორატორიის პირობებში ალკოჰოლისაგან გამოწვეული მოვლების შესწავლით, არამედ მიზნად ისახავდა ისეთი საშუალების გამოძებნას, რომელიც ალკოჰოლიზმის საწინააღმდეგო იქნებოდა.

ალკოჰოლის გავლენის შესწავლა უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე ფრიად საინტერესო და საკვანძო საკითხია ალკოჰოლიზმის მავნე გავლენის დასადგენად.

ა. მ. რაპოპორტის აზრით, ამჟამად ალკოჰოლიზმის პრობლემის მეცნიერული შესწავლისათვის დღის წესრიგში დგას მთელი რიგი საკითხები, რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს ალკოჰოლის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე გავლენის მექანიზმების გაღრმავებული შესწავლა როგორც მწვავე, ისე ქრონიკული მოწამვლის დროს. ამ მიზნით გამოყენებული უნდა იქნას კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა პირობით რეფლექსური, თავის ტვინის ქერქის ბიოელექტრული აქტივობისა, ბიოქიმიური და სხვ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ და სანპიგიენური ფაკულტეტების ნერვულ სნეულებათა კლინიკაში ჩვენს მიერ, ა. ო. პეინსთან ერთად, ჩატარდა დაკვირვება ალკოჰოლის უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე გავლენის შესასწავლად.

ამ გამოკვლევებში პირობით გამღიზიანებლად გამოყენებულია „გამღიზიანებლების დამოკიდებულება“, ხოლო თვით

დაკვირვება უმთავრესად ტარდება დამოკიდებულების მნიშვნელობის გამოსამყლავნებლად.

ჩვენს მიერ დაკვირვება ჩატარებულ იქნა პრაქტიკულად ჯანმრთელ პირებზე 50 მლ 40 გრადუსიანი სიმაგრის ალკოჰოლის მიღების პირობებში.

უმაღლესი ნერვული მოქმედება გამოკვლეული იყო ალკოჰოლის მიღებამდე და მიღების შემდეგ გარკვეული დროის განმავლობაში ალკოჰოლის მოქმედების ჩათავებამდე.

ჩატარებული გამოკვლევების შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჯანმრთელ ადამიანებში ალკოჰოლის მიღება იწვევს შეკავების პროცესის დასუსტებას.

მომდევნო პერიოდში ჩვენს მიერ იმავე მეთოდიკით შესწავლილ იქნა უმაღლესი ნერვული მოქმედება ქრონიკული ალკოჰოლიზმით შეპყრობილ პირებში და მათ აღმოაჩნდათ შეკავებითი პროცესების მკვეთრი შესუსტება.

ყველა ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ნორმალურ პირობებში ადამიანის უმაღლესი ნერვული მოქმედება, აღამიანის ქცევა გაპირობებულია თავის ტვინის ქერქში მიძინარე ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების — აგზნებისა და შეკავების ფიზიოლოგიური წონასწორობით. ალკოჰოლი ამ ძირითადი ფიზიოლოგიური პროცესების ნორმალური მიმდინარეობის და მათი ურთიერთდამოკიდებულების შეცვლის გამო არღვევს ადამიანის უმაღლეს ნერვულ მოქმედებას, უჩვეულოს ხდის ადამიანის ქცევის როგორც ალკოჰოლით მწვავე მოწამვლის დროს, ისე მისი ხანგრძლივი გამოყენების პირობებში, რაც საბოლოოდ ადამიანის ფსიქიკური პროცესების დაკრინებას და დეგრადაციას იწვევს.

უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევა შეუძლებელს ხდის რაიმე შემოქმედებითი მუშაობის წარმოებას. ალკოჰოლიანი სასმელების მიღების შემდეგ შრომის უნარის გაძლიერების შეგრძნება ყალბი სუბიექტური შეგრძნებაა და სინამდვილეში მნიშვნელოვნად ქვეითდება ჩვეულ მოქმედებათა ხარისხიანი შესრულება. ალკოჰოლიზმი აქვეითებს შრომის ნაყოფიერებას. ა. მ. რაპორტის მიხედვით, ეს მით უმეტეს საყურადღებო ფაქტია, რომ „წარმოებისა და სოფლის მეურ-

ნეობის თანამედროვე მექანიზაციის დროს მუშაკს მოუზღვნებია, თავდაჭერილობა, გამბედაობა, პასუხისმგებლობის გრძნობა, რეაქციის სისწრაფე, ყურადღების კონცენტრაცია, მესხიერება, საზრიანობა. ყველა ეს თვისება შებლალული და დაქვეითებულია ალკოჰოლის მიღების დროს“.

ალკოჰოლური მოწამვლისაგან გამოწვეული უმაღლესი ნერვული მოქმედების დარღვევის შესწავლა დათრობისა და საერთოდ ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული მოვლენების მექანიზმების ახსნის საუკეთესო საშუალებაა. უმაღლესი ნერვული მოქმედების აშლა ალკოჰოლური მოწამვლის პირველი და ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა.

ყურძნისა და მისი პროდუქტების ჩატიონალური გამოყენებისათვის

ალკოჰოლიანი სასმელების დამზადებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობილია, რომ სპირტიანი სასმელების დამზადებისათვის საჭიროა დუღილის პროცესი, რაც შეიძლება სცოდნდათ მსოფლიოს პირველ ცივილიზებულ ხალხებს. ასე, მაგალითად: 2500 წლისათვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტეში მოიპოვებოდა ლუდის ოთხი სახეობა. ლუდის ზეციური წარმოშობის შესახებ მითითებულია ძეგლებში, რომელიც ეკუთვნის მე-4 ათასეულ წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

სხვადასხვა ხილის, მარცვლეულის, ჭაჭისა და სხვ. გამოხდით მიიღება სპირტი, რაც ყოველგვარი „მაგარი“ სასმელების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

ი. ლიპსის მიხედვით, აფრიკასა და ინდოეთში ხმარობენ პალმის ღვინოს. ქხონდები ინდოეთში გარკვეული ჯიშის პალმის წვენისაგან ღებულობენ ღვინოს; ეს პალმა ყვავილობის დროს ღღები 25 ლიტრამდე ღვინოს იძლევა. ბორნეოში გამოყენებულია ბრინჯის არაყი ნასი.

ალკოჰოლიან სასმელებს აკეთებენ მრავალი ნედლეული-საგან, მაგრამ ყურძნენს მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა

აქვს, რაღაც მისგან მაღალი ხარისხის და მრავალგვარი სპეციალისტიანი სასმელები მზადდება. სპირტის შემცველი სასმელუბისათვის, ბოროტად გამოყენება ძალიან მავნებელია აღამიანისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს ყურძნისა და მისი ნაწარმის მავნე გავლენას აღამიანის ორგანიზმზე. ყურძნენსა და მისგან მიღებულ პროდუქტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს აღამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის.

ვაზი სახალხო დოკუმენტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ვაზი, სხვა კულტურებთან შედარებით, ადრე, დარგვის მესამე წელსვე იძლევა მოსავალს; მეოთხე-მეხუთე წლიდან კი სრულ მოსავლიანობაში შედის და ერთ ჰექტარზე მიღება 50-300 ცენტნერამდე ყურძენი.

აქ გვინდა მოკლედ შევჩერდეთ ყურძნისაგან მიღებულ პროდუქტებზე.

სუფრის ყურძენი წარმოადგენს ფრიად მარგებელ ხილს, შეიცავს 18-25 პროცენტ შაქრებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), სიმჟავეებს (ლვინის, ვაშლის, მჟაუნის), მინერალურ ნივთიერებებს და სხვ. ყურძენი ძველთაგანვე გამოიყენება როგორც საუკეთესო საკვები, სამკურნალო ჯანმრმვერელი საშუალება, კერძოდ ორგანიზმის საერთო სისუსტისა და სიგამხდრის დროს.

სპეციალური ჯიშის ყურძნის ნატურალური ოდენობიდან დაახლოებით ერთი მესამედი გამოიყენება ქიშმიშის დასამზადებლად, რომელიც შაქრების საკმაოდ დიდ რაოდენობას შეიცავს.

ყურძნის წვენი ძვირფასი დიეტური საკვები და სამკურნალო საშუალებაა. ის ფართოდ არის გამოყენებული ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ორგანიზმის საერთო გაძლეობის უნარის გაძლიერება, წონაში მომატება, გულის მოქმედების გაუმჯობესება და სხვ. ყურძნის წვენი, როდესაც მისი მიღება კუჭ-ნაწლავის მდგომარეობის მიხედვით შესაძლებელია, თითქმის ცვლის გლუკოზის ვენაში შეყვანას.

ყურძნის წვენს ყურძენთან შედარებით ის უპირატესობა აქვს, რომ აღამიანი სუფრა სახით ღებულობს ყურძნის შემაღ-



გენლობის ყველა სასარგებლო ნივთიერებას კუჭ-ნაწლოვაბშე
მარცვლის, ჩენჩოს, ხორცისა და წიპტის მოხვედრის გარეშე.
ამას გარდა, ყურძნის წვენი შეგვიძლია შევინახოთ ხანგრძლი-
ვად და ყურძნის სიმწიფის სეზონის მიუხედავად წლის ყველა
ღროში ვისარგებლოთ.

ყურძნის წვენი ფართოდ არის გამოყენებული სამკურნა-
ლო და პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, როგორიცაა სა-
ავადმყოფოები, სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები,
ბავშვთა აღზრდის დაწესებულებები, პიონერთა ბანაკები და
სხვ.

ყურძნის წვენის მიღების შემდეგ დარჩენილი ლექი გამო-
იყენება მუავის, ღვინის ქვისა და ღვინის სპირტის დასამზადებ-
ლად.

ლექს აღამიანი უშუალოდ არ ღებულობს, მაგრამ მისგან
შიღებულ პროდუქტებს კი დიდი ტექნიკური გამოყენება აქვს
სახალხო მეურნეობაში. ისინი გამოიყენება აგრეთვე მედი-
ცინაში.

ყურძნის გაღამუშავებული წვენის — ბადაგის დამზადება
ფრიად მარტივია და თავისი კვებითი ღირსებით თითქმის არ
ჩამოუვარდება კარაქსა და თაფლს.

ბადაგისაგან ამზადებენ ისეთ გავრცელებულ კვების პრო-
დუქტებს როგორიცაა თათარა, ტკბილქვერა, ჩურჩხელა, მუ-
რაბა, უელე, მარმელადი და სხვ.

ყურძნის ძირითად პროდუქტიას წარმოადგენს ღვინო. ნა-
ტურალური ღვინო მცირე დოზებით არ იჩენს მავნე გავლენას,
არამედ ხელს უწყობს საჭმლის მონელებას, გულის მოქმედე-
ბის გაძლიერებას. მასში არსებული ნახშირწყლები იხარჯება
იმ მუშაობისათვის, რასაც აღამიანის ორგანიზმი მთელი სიცო-
ცხლის განმავლობაში აწარმოებს.

ცნობილია, რომ არაყი უფრო მავნებლურად მოქმედებს
აღამიანის ორგანიზმზე, ვიდრე ნატურალური ღვინო. ამ მხრივ
ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა აქვს ჩატარებული ი. ქუ-
თათელაძეს. ავტორმა ღვინოში მთავარი მოქმედი ნივთიერებ-
ების შესწავლისას ყურძნის ნატურალურ ღვინოებში აღმოაჩი-
ნა ისეთი არომატული ნივთიერება. რომელიც ამცირებს გუ-



ლის ნერვულ აპარატზე ალკოჰოლის დამაღამბლავებელ უფრო უფრო გადასახლება ლენას. ეს ნივთიერება არ არის ყურძნის წვენი და ჩრდება მასში დუღილის პროცესების და ყურძნის წვენის დაღვინების შემდეგ. ი. ქუთათელაძის მიერ ღვინოში აღმოჩენილი არომატული ნივთიერება ალკოჰოლის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიური მოქმედების მატარებელია. ამიტომ მცირე დოზებით ღვინის მიღება არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზმის მომშეამავ, დამღუბველ მოვლენად.

ჩვენ ვამბობთ, რომ ღვინო მცირე დოზებით არ იჩენს მავნე გავლენას, არამედ მას აქვს საკვები და სამკურნალო მოქმედება, მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს შემდეგი: ღვინომ იცის შეჩვევა თავისი გემოვნებითი და მათრობელი თვისების გამო. ღვინის სისტემატური და დიდი რაოდენობით სმა მავნებელია ჯანმრთელობისათვის.

შეიძლება ერთგვარი გაურკვევლობა გამოიწვიოს გამოთქმა „მცირე დოზები“. რა არის აქ საზომი? სად თავდება „მცირე“ და სად იწყება „დიდი“ დოზები?

ამ შემთხვევაში დოზის ზუსტი დადგენა შეუძლებელია. მნიშვნელობა აქვს ადამიანის წონას, მისი ნერვული სისტემის თავისებურებას და ღვინის სიმაგრეს. „მცირე დოზები“ გაებული უნდა იქნას სუფრის 10 გრაფუსიანი ღვინის დაახლოებით არა უმეტეს 200 მლ რაოდენობისა დღე-ლამეში. ამასთანავე ჩვენ არ ვლაპარაკობთ ღვინის ამ რაოდენობის სისტემატურ, ყოველდღიურ მიღებაზე, არამედ დასაშვებად მიგვაჩნია ჭეშმარიტად მცირე დოზის ნატურალური ღვინის მიღების შესაძლებლობა ადამიანის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღვინო უნდა გამოვიყენოთ არა დასათრობად, არამედ საკვებად და სამკურნალო საშუალებად.

ყურძნი და მისი ყოველი პროდუქტი ადამიანის შეგნებული ცხოვრების, მისი გონებრივი განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია. საჭიროა ადამიანის შემოქმედებითი შრომით მონაპოვარი, როგორიცაა ყურძნი და მისი პროდუქტები, რაციონალურად გამოვიყენოთ მისივე ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის.

ადამიანის ჯანმრთელობა, მისი ხანგრძლივი, შემოქმედებითი შრომისუნარიანი სიცოცხლე არის კომუნიზმის მშენებელი ქვეყნისათვის ყველაზე მეტად საზრუნვი საგანი. ყველაფერი, რაც კი ხელს უშლის ადამიანის ჯანმრთელობას, ლიკვიდირებული უნდა იქნას. ალგორითმი, როგორც ვთქვით, ჯანმრთელობის მტერია, ის აავადებს ადამიანს, ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას, ავარიებს, საზოგადოებრივ და ოჯახურ უწესრიგობას, სახელმწიფო თანხების გაფლანგვას, ოჯახის დანგრევას, აქვეითებს შრომის ნაყოფიერებას, ცუდად მოქმედებს შთამომავლობაზე, ამოკლებს სიცოცხლის ხანგრძლივობას და, ამგვარად, წარმოადგენს დიდ საზოგადოებრივ უბედურებას.

ჩამოთვლილ არასასურველ შემთხვევათა სისწორე, ვფიქრობთ, ეჭვს არავისში გამოიწვევს. მაშასადამე, საჭიროა ამ მავნე ჩვეულების წინააღმდეგ ორგანიზებული ბრძოლის გაჩაღება, წინასწარი, გამაფრთხილებელი. პროფილაქტიკური ზომების მიღება ალგორითმის წინააღმდეგ. ხოლო ავაღმყოფობის დროს კი მკურნალობის ჩატარება, რაც ამავე დროს პროფილაქტიკურ ღონისძიებასაც წარმოადგენს.

ალგორითმის მთავარი მიზეზების ცოდნა მის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი პირობაა.

სპირტიანი სასმელების ბოროტად გამოყენება განსაკუთრებით გავრცელდა კაპიტალიზმის განვითარების პირობებში, როდესაც მშრომელთა ექსპლოატაციამ და მათმა უუფლებობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. სწორედ ამიტომ ალგორითმი კაპიტალიზმის გაღმონაშთად ითვლება და მის წინააღმდეგ ბრძოლა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

გამარჯვებული სოციალიზმის, კომუნიზმის მშენებელ ქვეყანაში აღმოფხვრილია ალგორითმის გავრცელების სოციალური ფესვები და შექმნილია ყოველგვარი პირობები მის წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად ალგორითმის სრული ლიკვიდაციისათვის.



ალკოჰოლიანი სასმელებისადმი მისწრაფების გამომუშავებული ბაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოცვას, რომელ-შიც იზრდება ახალგაზრდა. პირველად ღვინოს ან არაყის ბავშვს შეუგნებელი მშობელი, მეზობელი, ნათესავი ან უფრო-სი ამხანაგი აჩვევს.

ჯერ კიდევ ნორჩი, ჩამოუყალიბებელი ორგანიზმი ადვილად ეჩვევა „მაგარ“ სასმელებს და ზოგჯერ საბოლოოდ ამ შხამის მსხვერპლი ხდება.

ალკოჰოლი განსაკუთრებით მომწამვლელად მოქმედებს ახალგაზრდა ადამიანზე.

ზოგს ბევრი ღვინისა და არაყის დალევის შესაძლებლობა გმირობად მიაჩნია და ხშირად ამ მხრივ ნამდვილი შეჯიბრება იმართება, რასაც ხელს უწყობს დახავსებული, მავნე ტრადი-ციული ჩვევები.

სპირტიანი სასმელების მიღება ადამიანში იწვევს თვით-კმაყოფილების აწეულ გრძნობას; ეს კი ალკოჰოლიზმისადმი მიღრეკილების გამომუშავებისათვის ხელსაყრელ ნიაღავს წარმოადგენს.

როდესაც ოჯახში არ არის ჰიგიენური დასვენებისა და გო-ნივრული კულტურული გართობის ელემენტარული პირობები, მაშინ ზოგი სუსტი ნებისყოფისა და დაბალი შეგნების ადამიანი ამ პირობების შექმნისათვის მიმართავს მავნე თვით-გართობის ყველაზე იოლ და ხელმისაწვდომ საშუალებას, როგორიცაა დათრობა.

ლოთობის გავრცელებას ხელს უწყობს ადამიანის დაბალი კულტურა, მაღალი ადამიანური ინტერესებისა და ორგანა-ზებული გართობის პირობების არარსებობა.

ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ალკოჰოლიზმის მავნებლობის ფართო პროპაგანდის წარმოება. ამ პროპაგანდას უნდა ჰქონდეს არა კამპანიური, ერთდროული, არამედ გეგმიანი, სისტემატური ხასიათი.

სპირტიან სასმელებს უმთავრესად მოზარდობის ასაკიდან ეჩვევიან, ამიტომ ამ ასაკის პირობებში მეტი აღმზრდელობითი ღონისძიებების ჩატარებაა საჭირო.



ოჯახში ბავშვებს და მოზარდებს უნდა აეკრძალოს უფრო გამარტინებული სა და არაყის სმა.

საშუალო სკოლის უფროს კლასებში და უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებლებმა საგნის გადაცემისას, შესაფერ ადგილას, მოხერხებულად უნდა გადასცენ და შეაგნებინონ მოსწავლეს ალკოჰოლის მავნებლობა. სკოლის ექიმებმა სისტემატურად უნდა ჩატარონ ლექცია-საუბრები მოსწავლეთა შორის ალკოჰოლიზმის მავნე გავლენაზე.

ქალთა კონსულტაციის ექიმებმა არ უნდა დაივიწყონ ქალთა შორის ალკოჰოლიზმზე საუბრის ჩატარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ალკოჰოლის საზიანო მოქმედებას მოზარდ ორგანიზმზე, ორსულებზე და მემუძრ დედებზე.

კომკავშირული ორგანიზაციები ხშირად აწყობენ სათანადო ლექციებს და კონკრეტული ფაქტების გამოყენების გზით აწარმოებენ ბრძოლას ლოთობის ცალკეული გამოვლინების წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სასურველი იქნებოდა ამხანაგური სასამართლო პროცესების მოწყობა და საზოგადოებრივი გაყიცხვა იმ პირისა, ვინც სიმთვრალის გამო გააცდინა ლექციები, სამუშაო, ან დაარღვია წესრიგი, გამოიმუშავა წუნდებული პროდუქცია, ვერ შეასრულა გეგმა, უსიამოვნება შექმნა ოჯახში და სხვ.

ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლია ბეჭდვით სიტყვას, რადიოს და ტელეგადაცემებს. სასურველია შეიქმნას სათანადო სპექტაკლები და კინოსურათები.

ახალგაზრდის თავისუფალი დრო უნდა მოხმარდეს მის გათვითცნობიერებას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, კულტურულ გართობას. თავისუფლად დარჩენილი დრო თუ უმიზნოდ იფლანგება, მას ლოთობისაკენ მიჰყავს ახალგაზრდა ადამიანი.

დიდი მნიშვნელობა აქვს თვითმოქმედი წრეების მოწყობას, ექსკურსიებს, ტურისტულ მოგზაურობებს, კინოთეატრებში სიარულს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპორ-



ტულ ლონისძიებათა ჩატარებას. არც ერთი ახალგაზრდობაში არ უნდა დარჩეს სპორტის რომელიმე სახეობაში ჩაბმის გარეშე.

სავსებით ცხადია კლუბების, კულტურის სახლების და ბიბლიოთეკა-სამკითხველოების როლი ალკოჰოლიზმის წინა-აღმდევ ბრძოლაში.

დროა, რომ ყველაფერში მივაღწიოთ ახალგაზრდობის კო-მუნისტურად აღზრდის საპატიო ამოცანის შესრულებას.

უნდა აიკრძალოს ალკოჰოლიანი სასმელების მიყიდვა ბავშვებისათვის, სპირტიანი სასმელებით ვაჭრობა სკოლის, სამკურნალო დაწესებულების, არმიაში გასაწვევი პუნქტის და სასპორტო დაწესებულების მახლობლად.

საჭიროა მევენახეობის პროდუქტების უპირატესი გამოყენება საკონდიტრო წარმოებისათვის, სპირტის გამოყენება ტექნიკური წარმოებისათვის; მკვეთრად უნდა შემცირდეს მარცვლეულისაგან არაყის დამზადება.

ახლა, ისე როგორც ყოველთვის, ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ლონისძიებები ტარდება ლოთობისა და შინაური არაყის გამოხდის წინააღმდევ. ამ საქმეში აღგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომეკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სამედიცინო დარგის მუშაკებს, რომლებიც სისტემატურად უნდა ატარებდნენ მოსახლეობაში დამაჯერებელ ახსნა-განმარტებით მუშაობას, კითხულობდნენ მაღალხარისხოვან ლექცია-მოხსენებებს ალკოჰოლიზმის მავნეობის შესახებ.

უნდა აღიკვეთოს გულგრილი დამოკიდებულება ლოთობისადმი. ლოთობის წინააღმდევ უნდა აღიმართოს საყოველთაო სახალხო ზიზლისა და დაგმობის კედელი, რამდენადაც იგი არის ანტისაზოგადოებრივი მოვლენა, სოციალისტური კულტურის მტერი. ნამდვილად ტრაგიკულია, როცა ჭეშმარიტად საზეიმო დღეებში — ოჯახურ ჭეითში, დღესასწაულზე და სხვა დროს მხიარულების ნაცვლად სამწუხარო საქმეს ჩაღიან ლოთობისა და ხულიგნობის გამო. ერთ ხულიგანსაც კი შეუძლია ას აღამიანს მხიარულება და კულტურული დასვენება ჩამწაროს.



ამჟამად ალკოპოლიზმის სამკურნალოდ მრავალი საჭურო მართვა გვხვდება, მაგრამ ეს საქმარისი არ არის. საჭიროა ახალი ეფექტური ორაპიული საშუალებების ძიება და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება ისეთი საზოგადოებრივი მავნე ჩვეულების წინააღმდეგ, როგორიც არის ალკოპოლიზმი.

კომუნისტური საზოგადოების შექმნა მოიხოვს ნათელ, ფხიზელ გონებას, ამიტომ ალკოპოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მოელო საზოგადოების ფრიად დიდი მნიშვნელობის საქმეა.

შ 0 6 ა პ ს 0

წინასიტყვაობა (აკად.) ა.	ზურაბ აშვილისა	3
ალკოჰოლიზმი მავნე ჩვეულებაა		5
ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ძირითადი ავაღმყოფუ- რი ცვლილებები და შინაგან ორგანოთა დაავადებანი		8
ალკოჰოლიზმის გავლენა ნერვულ სისტემაზე		23
ალკოჰოლის გავლენა უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე		44
ყურძნისა და მისი პროდუქტების რაციონალური გამოყე- ნებისათვის		52
ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკისათვის		56

რედაქტორი ს. საყვარელიძე
გამომც. რედაქტორი ე. უბილავა
მხატვარი ვ. ჭუმბურიძე
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რ. მელაძე
კორექტორი ნ. გუჯაბიძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/V-64
ანაწყობის ზომა $5,5 \times 9$
ქაღალდის ზომა 84×108
ნაბეჭდი თაბაზი 4
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 2,83
შე 00493 ტირაჟი 2.000 შეკვეთა № 431
ფასი 7 ქაპ.



Миндадзе Алексей Алексеевич
ТВОЙ ИСТИННЫЙ ВРАГ
(На грузинском языке)
Художник В. Чумбуридзе
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1964

613.9
813.816
688



გამომცემლობა „ნაკადულის“ სტამბა.
თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5
Типография издательства «Накадули»
Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5.

